საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცეკვაა, ფცეფილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა ეკლესიაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 25-26 ივლისი. 2022 წ. №101-102 (9439-9440) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მაია ნიკოლეიშვილი:

საქართველო უნდა გადარჩეს, ლირებულებები მოიცდის!..

იხ. 3 გვ.

ევროპარლამენტარს რა უნდა მოჰ-კითხო, როდესაც საქართველოს პრე-ზიდენტმა მოისმინა მოსამართლე ლა-შა ჩხიკვაძის განცხადება და იმის მა-გივრად, რომ მას გასჩენოდა სურვილი შეხვედროდა ჩხიკვაძეს, ისევ ტელევი-ზიით გამოვარდა, ამის ხმამაღლა ლა-პარაკი არ შეიძლებაო. გავოგნდი. ის, რომ კელი დეგნანს არ აინტერესებს, გა-საგებია, მაგრამ საქართველოს პრეზი-დენტს არც უფიქრია, შეხვედროდა თუნ-დაც ყველაშვილს, სოგარ სუბარს.

საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება

გაერომ მსოფლიოს ის 20 ქვეყანა დაასახელა, სა-დაც მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა. საგულისხმო ფაქტია, რომ იმ 20 ქვეყნიდან, 18 ევროპის კონტინენ-ტზე მდებარეობს. გამონაკლისი მხოლოდ იაპონია და კუბაა.

საქართველო ამ არასახარბიელო სიაში მე-16 ად-გილს იკავებს. პირველ ადგილზე კი 22%-იანი კლე-ბით სამწუხაროდ ბულგარეთი მოხვდა. საგანგაშო ფაქტია, რომ 2050 წლისთვის ჩვენი ქვეყნის მოსახ-ლეობა სულ მცირე 11,80- % შემცირდება.

გარდა ამისა, გაერომ დაასახელა ის ქვეყნები, რომლის მოსახლეობის რაოდენობა კოლოსალუ-რად იზრდება. ჩინეთთან და ინდოეთთან ერთად, მეცნიერები დემოგრაფიულ აფეთქებას ახლა აფრი-კის კონტინენტზე ელოდებიან.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენც მოვხვდებით იმ ერებს შორის, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ყოველ-დღიურად მატულობს და ახალგაზრდავდება.

თავაშვებულ საბაზრო სპეკულაციას მთელი მსოფლიო ომს და პანდემიას აბრალებს!

6



სოსო ცინცაძე: მე არ ვიცი, კელი დეგნანი რა ჩამოსხმის დიპლომატია, მაგრამ მისი პასუხი არ იყო დიპლომატიური...

2

ბიჭვინთა რუსეთის უნდა!

8

აფხაზეთის ანექსიის კვალდაკვალ

ქობულეთი ახალი ბულვარით დამშვენდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქობულეთში ახალი ერთ კილომეტრამდე სიგრძის ბულვარის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა. ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

ქობულეთის ახალი ბულვარი ოფიციალურად გახსნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელმა თორნიკე რიჟვაძემ.

როგორც აღინიშნა, პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქობულეთში სანაპირო ზოლის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები 2021 წლის ზაფხულში დაიწყო. სამუშაოების ღირებულებამ 8 100 000 ლარი შეადგინა. პროექტის მიხედვით, მდინარე აჭყვადან მდინარე კინტრიშამდე მდებარე 1 კმ-მდე სიგრძის სანაპირო ზოლზე მოეწყო ბულვარი. ბულვარის მთელ სიგრძეზე აშენდა გამყოფი კედელი, 2.5 მეტრის სიგანის ველობილიკი და 4 მეტრის სიგანის საფეხმავლო ბილიკი. მოეწყო რეკრეაციული და კომერციული ზონები. საბავშვოგასართობ სივრცეებში დაიდგა ატრაქციონები, ხოლო სპორტულ ზონაში მოეწყო ქვიშის ფრენბურთისა და ქვიშის ფეხბურთის მოედნები. ახალ ბულვარში აშენდა ადაპტირებული სანიტარიული კვანძები, ძველ ბულვართან დასაკავშირებლად კი, აშენდა საფეხმავლო ხიდი.

ახალი ბულვარის სანაპირო ზოლი, სამუშაოების დასრულებამდე, სრულიად გამოუსადეგარი იყო დამსვენებელთათვის. დღეს განახლებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი ბულვარით უკვე ისარგებლებენ როგორც მის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, ისე კურორტის სტუმრები.

მელია ბრძოლის ავანგარდში შედის...

„წინ გვაქვს ბრძოლა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მომდევნო ათწლეულების ბედი! ამ ისტორიული ბრძოლისთვის მზადაა ქართველი საზოგადოება, განვლილ თვეებში გაცხადდა ეს მზადყოფნაც და ნებაც – გახდეს ევროპული ოჯახის წევრი.

სწორედ იმისთვის, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გარდაუვალი ცვლილებებისთვის ისევე მზად იყოს, როგორც არის მზად ქართველი საზოგადოება, იმისთვის რომ ღირსეულად ვიდგეთ ამ ბრძოლის ავანგარდში, იმისთვის რომ ვიყოთ მობილიზებული, მოტივირებული და გამარჯვების რწმენით აღსავსე, ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ინტენსიურად ვხვდებით ჩვენს თანამებრძოლებს, ჩვენს აქტიურ მხარდამჭერებს, ძალიან მალე (აგვისტო) კი უკვე ფართო საზოგადოებასთან დავიწყებთ ინტენსიურ შეხვედრებს.

ჩვენ ერთმანეთს უნდა გადავდოთ გამარჯვების რწმენა! ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ბრძოლისთვის, ნებისმიერი გამოწვევისთვის და ყველაფერს ვაკეთებთ საამისოდ. ხელისუფლება, რომელიც ძალის გამოყენებით ცდილობს, ქვეყნის კალაპოტიდან ამოგდებას და ბუნებრივი, ისტორიული დინების – ევროპისკენ სვლის შეცვლას, თავად შეიცვლება ძალის გამოყენების გარეშე!“, – წერს მელია სოციალურ ქსელში.

რადიკალური ოპოზიცია პოლიტიკურ ჭაობშია...

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი რადიკალურ ოპოზიციას ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად შემუშავებულ ფორმატში ჩართვაზე უარის გამო აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ოპოზიციის ნაწილის ქცევა „პოლიტიკური ბავშვობაა“.

„რადიკალური ოპოზიცია ახლა პოლიტიკურ ჭაობშია და რაც მეტს იაქტიურებს, მეტად ჩაიძირება. ერთადერთი გამოსავალია, რომ თავიდანვე დაგვიჯეროს ხოლმე, როგორც ეს ევროპარლამენტარებმა უთხრეს – სერიოზულად მოეკიდონ პროცესს, რომელსაც ჩვენ არავის არ დავაზიანებინებთ და მონაწილეობა მიიღონ. პოლიტიკაში ნახევრად მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულად, ამ პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობ. საკომიტეტო მოსმენა და სამუშაო ჯგუფის ფორმატი, ორივე რეგლამენტირებულია. კარგი იქნება, რეგლამენტი რომ წაიკითხონ, რადგან პარლამენტის წევრმა უნდა იცოდეს, რომ ორივე – სამუშაო ფორმატი ჯგუფში და საკომიტეტო სხდომა ოფიციალური ფორმატებია. „ჯგუფში არ მინდა და კომიტეტში მინდა“ – ეს, უბრალოდ, პოლიტიკური ბავშვობაა“, – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.



სოსო ცინცაძე: მე არ ვიცი, კელი დეგნანი რა ჩამოსხმის დიპლომატია, მაგრამ მისი პასუხი არ იყო დიპლომატიური...

„ჩვენთან თუ უპრაინის გამო ომი უნდათ და გვყავს ასეთი გიჟები, ამერიკაში არ არიან ასეთი გიჟები. ამერიკელები ამბობენ, „ჩვენ ორი ოკეანე გვაშორებს ევროპელებისგან, ევროპელები ომს იწყებენ და მერე ჩვენ გვითრევენ თავიანთ ომშიო“. ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, რომ ამერიკას საქართველოს ომში ჩართვა უნდოდეს“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

– რით ახსნით ამერიკის ელჩსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაუცხოებას? ხომ არ გააღრმავებს ასეთი დამოკიდებულება პოლარიზაციას? სულ ბოლოს დეპუტატ ყაველაშვილის მხრიდან ელჩის მისამართით მიწერილ წერილზე არცთუ კორექტული პასუხი მოვისმინეთ, რომ ელჩს არ წაუკითხავს ეს წერილი. ამას მოჰყვა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძესთან დაკავშირებული სკანდალი. როგორ ფიქრობთ, ელჩს რამდენად მართებს დიპლომატიური ეტიკეტის დაცვა?

– აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ამის შესახებ ქარტიაც გვაქვს მასთან გაფორმებული. რაც შეეხება კინკლაობას მოსამართლესთან მიმართებით, რომელმაც ნიკა გვარამია ციხეში გაუშვა, ამ საკითხს რომ მივუდგეთ ვენის კონვენციით, ორივე მხრიდან დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლების კონვენციის დარღვევაა, თვითონ ელჩიც ხშირად არღვევს კონვენციას და, ხალხურად რომ ვთქვათ, დაუკრეფავში გადადის. ჩვენთან არიან სულ სხვა კატეგორიის ელჩები. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, საქართველოში კისინჯერებს და მაკფოლებს არავინ გამოგზავნის ელჩად. რაც მე ელჩებს ვიცნობდი საქართველოში, ყველასთვის ეს იყო უკანასკნელი თანამდებობა პენსიაზე გასვლის წინ, ანუ აქედან მიდიოდნენ ელჩები პენსიაზე.

– კელი დეგნანის ელჩად დანიშვნას ამდენ ხანს ველოდით, ამერიკა დიდხანს აჭიანურებდა ამ პროცესს, მანამდე ბრიჯიტ ბრინკის ელჩად დანიშვნა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ არ ისურვა, რადგან სააკაშვილთან ურთიერთობაში შეიმჩნეოდა. კელი დეგნანი კი ავღანეთშიც იყო ნამუშევარი, აფრიკაშიც, კოსოვოშიც, იტალიაშიც, ანუ მეტ-ნაკლებად ცხელ ქვეყნებში...

– რასაკვირველია, მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამერიკელები არ არიან მიჩვეულნი, მათმა უმცროსმა პარტნიორმა აგრემანი არ მისცეს მათ ელჩს, მიშას მომხრე იყო თუ არა ბრიჯიტ ბრინკი, დიპლომატიაში ასეთი რამ არ არსებობს. სტრატეგიულ მოკავშირეებში თავისთავად იგულისხმება, რომ ელჩი არის ქვეყნის მოკავშირე, ქვეყნის მომხრე და არა რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის მოკავშირე. საბჭოთა კავშირის დროს ამერიკაში 22 წლის განმავლობაში ელჩად იყო დობრინინი, ეს მაშინ, როცა ნორმით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იცვლებოდა საბჭოთა ელჩი, დობრინინმა ექვსი პრეზიდენტი შეიცვალა ამერიკაში. ახლა ჩვენი მოსამართლე გამოდის და ელჩს რაღაცას ეკამათება, პარლამენტარი გამოდის, ელჩს ეკამათება და ღია წერილს უგზავნის. დიპლომატიური ეტიკეტით, ელჩი ვალდებული არ არის პასუხი გასცეს ასეთ წერილებს, უბრალოდ, საელჩოს პასუხი კეთდება ასეთ დროს, რომ საელჩო ყურადღებით გაეცნო ბატონ მიხეილ ყაველაშვილის მოსაზრებებს და დიდ მადლობას უხდის მას საკუთარი მოსაზრების გამოხატვისთვის, ანუ ეს უნდა ყოფილიყო თავაზიანი ტონი. მე არ ვიცი, კელი დეგნანი რა ჩამოსხმის დიპლომატია, მაგრამ მისი პასუხი არ იყო დიპლომატიური.

იხ. 4 გვ.

ევროპას და, ჩვენ განსაკუთრებით გვაშინებს ისლამური ფუნდამენტალიზმი

ამიტომ არა კომფორტის გამო გჭირდება ევროპასთან ალიანსი, არამედ საერთო ბედ-იღბლის გამო...

„რუსეთის მიმართ გარკვეული, რბილი დამოკიდებულება ევროპისთვის ტიპურია და ამ ფენაში მოჰყვა ჩვენი არაღიარებაც“, – ამბობს ანალიტიკოსი და ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე.

– მიმდინარე მოვლენების ფონზე, რაც ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ ხდება, როგორ ფიქრობთ, ბატონო რამაზ, საქართველო 2023 წელს შეძლებს, რომ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი?

– არ მგონია, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება მხოლოდ ჩვენზე იყოს დამოკიდებული. ანალოგიური პუნქტები უკრაინას და მოლდოვასაც ჰქონდათ, რომელთაც კანდიდატობა მიანიჭეს. ამას დამატებული, მაკრონის განცხადებით გავიგეთ, რომ უკრაინა ევროპაა და საქართველო – არა. ეს ის მაკრონია, რომელიც უკრაინის პრეზიდენტს, გერმანიის პრეზიდენტთან ერთად, იმ წინადადებით ეწვია, რომ ზელენსკიმ რაღაც დათმოს რუსეთისთვის.

ასე რომ, რუსეთის მიმართ გარკვეული, რბილი დამოკიდებულება ევროპისთვის ტიპურია და ამ ფენაში მოჰყვა ჩვენი არაღიარებაც. ამიტომ, არ მგონია, რომ ეს აღიარება მხოლოდ ჩვენზე იყოს დამოკიდებული, შევასრულებთ თუ არა 12–პუნქტიან გეგმას, მით უმეტეს, რომ პუნქტები ბუნდოვანია, მათ შორის დეპოლარიზაციასა და დეოლიგარქიაზე. ამ პუნქტებს ობიექტური კრიტერიუმები ნაკლებად გააჩნია.

– გამოდის, რომ რუსეთისთვის მისაცემი ბოლო ლუკმა საქართველოა და სწორედ ამიტომ არ მიანიჭეს მას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი?

– დიახ, ყოველ შემთხვევაში იმისთვის, რომ არ გაეღიზიანებინთ რუსეთი. გათვლა შემთხვევითი არ იყო, რადგან გვახსოვს, ზახაროვას ფრაზა: – კანდიდატის მიცემა-არმიცემის საკითხს ყურადღებას მივაქცევთო. ასეთი მუქარით სავსე ფრაზები რუსეთს ძალიან ბევრი აქვს. ის, რომ რუსეთს კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე რეაქცია ექნებოდა, ეს ზახაროვას განცხადებაში გამოჩნდა. შესაძლოა, დასავლეთმა სწორედ ამიტომ მიიჩნია შერბილების ეს ვარიანტი უფრო მისაღებად.

– და მაინც, რატომ ჩვენ და არა მაგალითად, მოლდოვა? ვიცით, რომ უკრაინა რუსეთთან ომშია და ეს მისი ერთგვარი წახალისება იყო...

– უკრაინა ომში არის და მოლდოვაც თითქმის ომშია. სასაზღვრო ქვეყანაა, სადაც ლტოლვილების რიცხვი ძალიან დიდია, მაგრამ მაკრონი ამიტომ გავიხსენე – ის მაინც ევროპაა, საქართველო არ არის ევროპა გეოგრაფიულად.

– თქვენი აზრით, რამდენად შეიცვლება საქართველოს მოსახლეობაში დასავლური განწყობები?

– ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, რა მოხდება და როგორ. მაშინ, როდესაც უკრაინის ხელმძღვანელობამ საქართველოს ომში ჩართვა მოსთხოვა, საქართველოში უკრაინის ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება უკვე შეიცვალა. ქართველებმა გაყვეს უკრაინის გმირი ხალხი და ხელისუფლება, რომელსაც რაღაცები ეშლება. ასე რომ, შეიძლება ხალხის დამოკიდებულება ბევრი მიზეზით შეიცვალოს.

შესაძლოა, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყოს ამერიკის და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნების ელჩების მოქმედებაც საიმისოდ, რომ საზოგადოებაში ორიენტაციებზე იქონიოს გავლენა და ამან შეიძლება ჩვენთანაც გავლენა მოახდინოს, მაგრამ იქამდე კიდევ ბევრი რამ უნდა მოხდეს.

– კონკრეტულად, რა შეიძლება მოხდეს?

– ბოლო დღეებში გერმანულ პრესაში წამოიწია თემამ, რომ უკრაინიდან იარაღი იყიდება, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული შენიშვნები გაჩნდება გერმანიაში. კრიტიკული მოსაზრებები არსებობს ასევე ამერიკულ სინამდვილეშიც, როგორც იარაღთან დაკავშირებით, ისე რუსეთთან კავშირის შესახებ. ამ პროცესებმა შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს იმაზე, თუ რა ხდება მთლიანად დასავლეთში. შესაძლოა თავად ევროპა აღმოჩნდეს კრიტიკული უკრაინის მიმართ, რამაც დასავლეთის როლი ამ პროცესებში შეიძლება შეამციროს და ამან ქართველების განწყობებზე გავლენა იქონიოს. ქართველი უკრაინას გულშემატკივრობს, როგორც რუსეთთან თავდადებით მებრძოლ ქვეყანას, ისევე როგორც მთელი ევროპა. თუ ეს პირობები შეიცვლება, შეიძლება ჩვენთანაც შეიცვალოს განწყობები, ოღონდ არა კარდინალურად.

– თეორიულად რომ დავუშვათ – ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი რომ ვერ მივიღოთ, რა მოხდება? ქვეყნის საგარეო კურსი როგორ შეიცვლება? ვიცით, საუბარი იყო ნეიტრალიტეტზეც...

– ნეიტრალიტეტი არ გვჭირდება და არც გამოგვადგება. შენ აირჩევ ნეიტრლიტეტს და რუსი ტანკებს დაქოქავს. ჩვენ ევროპისკენ სიარული გვჭირდება, ეს აუცილებელია, რადგან ჩვენ და ევროპას გვაქვს ერთი და იგივე ინტერესები, ორივესთვის მიუღებელია რუსეთის აგრესიულობა. როგორც ევროპას, ჩვენც გვაშინებს ისლამური ფუნდამენტალიზმი, ამიტომ, არა კომფორტის გამო გჭირდება ევროპასთან ალიანსი, არამედ საერთო ბედ-იღბლის გამო.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

რა იკვეთება პრეზიდენტ ზურაბიშვილის ნაბიჯებში? რატომ აუნთეს „წითელი“ ირაკლი ღარიბაშვილს? რა მიზნით ჩამოვიდნენ რეალურად ევროპარლამენტარები საქართველოში, ვინ არიან მათი „დანოსშიკები“ და რამდენად რეალურია საქართველოში ხელისუფლების შეცვლის და ომში ჩათრევის საფრთხე? – ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge-ს საკუთარ პოზიციას უზიარებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი.

მაია ნიკოლეიშვილი:

საქართველო უნდა გადარჩეს, ღირებულებები მოიცდის!...

– ძალბატონო მაია, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას? რატომ უჭირს პოლიტიკურ სპექტრს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად სვლა?

– ის, რომ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებას და ოპოზიციას გარკვეულ საკითხებზე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებული ხედვებიც ჰქონდეთ, ეს ჩვეულებრივია. სხვა ქვეყნის პარლამენტებშიც ვხედავთ დაპირისპირებებს, მაგრამ ჩვენი ოპოზიცია უნიკალურია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თვალით დანახული ოპოზიცია უნიკალურია – აბსოლუტურად მართული გუნდია კონკრეტული გეგმით და არა ოპოზიციური ამოცანებით. ჩვეულებრივ, ოპოზიციის ამოცანაა, პირველ რიგში, იმუშაოს პარლამენტში, საკანონმდებლო ორგანოში და აქ, ჩვენი ოპოზიცია ძალიან ჯიუტობს. ნებისმიერი ოპოზიცია ცდილობს, შემდეგ არჩევნებზე ხელისუფლებაში მოვიდეს, მაგრამ ჩვენს ოპოზიციას თვითონ შიგნით განსხვავებული ღირებულებები აქვს. მათ არ აქვთ ღირებულებითი ერთობა და არც შეიძლება ჰქონდეთ. ეს არის საოცრად ეკლექტური ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ ერთი მიზნის გარშემო ერთიანდება. მათი ერთადერთი მიზანია ხელისუფლებაში დაბრუნება, ნებისმიერი ფორმით ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რადგან არჩევნების გზით ვერაფერს მიიღებენ. მათ მიმართ საზოგადოების ნდობა ყოველწლიურად ეცემა. ამიტომ ოპოზიცია უფრო მეტად იკვრება, რადგან სხვა არჩევანი არ აქვს, სხვა პერსპექტივას პირადი ცხოვრების მოწყობისას ვერ ხედავენ. ამიტომ გაალმასებულები ერთ მუშტად იკვრებიან ეს 1%-იანი პარტიები, ეს უავტორიტეტო ოპოზიცია. ერთადერთი მიზანი აქვთ – დასავლეთის დახმარებით როგორმე ხელისუფლებაში მოვიდნენ, რა თქმა უნდა, არა არჩევნების გზით. აქედან გამომდინარე, 10 წელია თითქმის ქვეყანა სულ რყევებშია. მათ უნდათ ძალაუფლება და არა ხელისუფლება.

– ანუ ფარსია მათი მხრიდან ქვეყნის დასავლურ კურსზე და ევროინტეგრაციაზე აპელირება?

– რა თქმა უნდა. ეს არის უბრალოდ მანტრა, რომელსაც იმეორებენ. ეს არის აკვიატება, პოპულარული აკვიატება, როგორც „1984“-ში – ომი მშვიდობაა. ამათ ევროპული უნდათ სათქმელად, ოღონდ თვითონაც არ იციან, რომელ ევროპულ ღირებულებაზე საუბრობენ.

დღეს ევროპაც ღირებულებებისგან დაცლილია!

როდესაც აშშ-ის ელჩი მოსამართლეს პირდაპირ უგზავნის თავის წარმომადგენელს, მიდის გადაწყვეტილების გარჩევა და შედეგად ხდება მოსამართლის დასჯა, ამაზე ოპოზიციას რეაქცია არ აქვს. ნებისმიერ სხვა სიტუაციაში კი სასამართლო რეფორმაზე საუბრობენ. როგორ შეიძლება სასამართლო რეფორმაზე საუბრობდე და ამაზე რეაქცია არ გქონდეს?! როგორ შეიძლება ლიბერალი გერქვას, დაირქვა (არანაირი ლიბერალები არ არიან) და „დებიძინიზაცია“, ანუ ადამიანის ამ ქვეყნიდან საერთოდ წასვლა მოითხოვო. მისი ქონების სანქცირებაზეა საუბარი, როცა ქონების ხელშეუხებლობა ლიბერალიზმის საფუძველია. ესენი მხოლოდ საუბრობენ ლიბერალიზმზე, სინამდვილეში ნეობოლშევიკები არიან, საოცრად დაუნდობლები. განსხვავებული აზრის აბსოლუტური მიუღებლობა და ერთადერთი წყურვილი აქვთ – ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

– ამიტომ ჩამოვიდნენ ევროპარლამენტარები, რომ პროცესი პოლიტიკის მილმაა? საერთოდ, რას იტყვით მათ ვიზიტზე?

– ეს ვიზიტი მარტო საქართველოში არ არის, როგორც ვიცი, აზერბაიჯანშიც გაგრძელდება. ევროპარლამენტარებმა საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გული ძალიან გაგვიტეხეს რეზოლუციაზე ხელმოწერით. ეს იყო, ფაქტობრივად, ფაქტებისგან დაცლილი მათი აღქმები და სურვილები. რეზოლუცია იყო, ფაქტობრივად, ბრძანება. თუნდაც იგივე იმ ქალბატონმა, ენა რომ მოიტეხა – დებიძინიზაციაო. ე.ი. პერსონაზე ამბობს, რომ ქვეყანა მის გარეშე უნდა იყოსო. გეგონება ბიძინა სადამ ჰუსეინია, ეს ხომ სრული სიგიჟეა. როცა ამ ქვეყანაში ცხოვრობ და ყველაფდერს ხედავ, ამ დროს ადამიანი, რომელიც გონზე არ არის საქართველო რა არის, უცებ იმ ადამიანს გითანაბრებს ჰუსეინთან, რომელიც არის შენს ქვეყანაში ყველაზე დიდი ქველმოქმედი და მშვიდობის გარანტი.

ეს ევროპარლამენტარები ჩამოდიან და ხვდებიან ისევ იმ „დანოსშიკებს“, იმ „ანონიმშჩიკებს“, რომლებიც იციან და რომლებმაც საქართველოზე ცუდის წერის და გაგზავნის მეტი, არაფერი იციან – არასამთავრობოებს ვგულისხმობ.

– ღიად ჩანს, რომ ეს კარგად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ფაქტობრივად, გავლენის აგენტები არიან.

– რა თქმა უნდა. იმის ნაცვლად, რომ ისინი ჩამოვიდნენ და შეხვდენენ თუნდაც საზოგადოებაში არსებულ მორალურ ავტორიტეტებს, ამას არ აკეთებენ. მათგან არასამთავრობო ორგანიზაციას ვერ გაიკეთებენ, რადგან გრანტს ვერ მიიღებენ იმ სტრუქტურებიდან. იქ მხოლოდ გავლენის აგენტები იღებენ დაფინანსებას. არის საზოგადოებაში პიროვნებები, რომელთანაც შეიძლება შეხვედრა, მაგრამ ვხედავ ეს ნაწილი მთლიანად გამოცლილია. ამ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე „ოცნებამაც“ არ იზრუნა. დაგვრჩა ცალკეული მორალური ავტორიტეტები, რომლებსაც ვხედავთ ტელევიზიებში, როდესაც რაღაც ძალიან კრიტიკული ხდება. მაგრამ, რაზეა საუბარი, საერთოდ ევროპარლამენტარს რა უნდა მოჰკითხო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მოისმინა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განცხადება და იმის მაგივრად, რომ მას გასჩენოდა სურვილი შეხვედროდა ჩხიკვაძეს, ისევ ტელევიზიით გამოვარდა, ამის ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლებაო. გავოგნდი. ის, რომ კელი დეგნანს არ აინტერესებს, გასაგებია, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს არც უფიქრია, შეხვედროდა თუნდაც ყაველაშვილს, სოზარ სუბარს. პოლარიზაციაო... პოლარიზაციის გაზრდა არ არის ის, რომ შენ, პრეზიდენტიც კი, არ ხვდები ლაშა ჩხიკვაძეს. იმის მაგივრად, რომ დაიცვა და განგაში ატეხო, ეს რა ხდება, თურმე როგორი ზეწოლაა მოსამართლეზე, გამოდიხარ და ამბობ, ამის ხმამაღლა თქმა არ შეიძლებაო. ძალიან გულდაწყვეტილი ვუყურებ ამ პროცესებს.

იხ. 5 გვ.

„შინ“ და „გარეთ“,

ანუ ფსიქიკური აშლილობა თუ „ჩათლახობა“

ამას წინათ, ავად გააქტიურებულმა არასამთავრობო თუ არანორმალურმა ასომ (არასამთავრობო ორგანიზაციამ), რომელსაც „სირცხვილია“, „თავლაფდასხმა“ თუ სულაც „თავისმოჭრა“ დაურქმევია სახელად, საპროტესტო აქციაზე ხალხი გაიტყუა ლოზუნგით – „შინ ევროპისაკენ“! დადგა ეს ხალხი რუსთაველის გამზირზე და დაიწყო კივილი: ხელს ნუ გვიშლის ხელისუფლება შინ დაბრუნებაშიო, რას ერჩი, კაცს შინ დაბრუნება უნდა და ხელს უშლი? ამის უფლება ვინ მოგცა, ხელისუფლებაც რომ იყო, მაინც, მათი საცოდაობით გული დამეწვა, მაგრამ ეჭვმა კი გამკრა, ამდენი ჯეელი (ჭარმაგიც) რა მიზეზით დარჩნენ გარეთ და შინ დაბრუნება როგორ ვერ შეძლეს-მეთქი, ან ამდენი ქართულენოვანი ევროპელი როდის გაჩნდა-მეთქი საქართველოში? აქამდე რამდენიმე გაქართველებულ ევროპელს ვიცნობდი, რომლებსაც არასოდეს გასჩენიათ შინ, ევროპაში დაბრუნების სურვილი (ჟღენტები, ღლონტები, ტრიპოლსკები, რადსკები, საბოები და კიდევ ერთი-ორი). ეს ამდენი გარეთ დარჩენლი ჯეელი საიდან გაჩნდა-მეთქი, შევწუხდი, ავდექი და წავედი გარეთ დარჩენილი ხალხის სანახავად რუსთაველზე.

ვნახე და რა ვნახე! რის ევროპელები, რა გარეთ დარჩენილები! ესენი აქაურები არიან, ქართველები, რომელთა უმეტესობამ ისიც არ იცის ევროპა ჩვენგან მარცხნივ არის თუ მარჯვნივ, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, ბევრმა ისიც კი არ იცის, ევროპა კონტინენტია თუ საერთო საცხოვრებელი ოთხსართულიანი კორპუსი, აი, ხრუშჩოვკები რომ ჰქვია თბილისში. ბევრი ნაცნობიც შევნიშნე: წვერიგლეჯიაშვილები, დროიძეები, ფულავები და მეჯღანუაშვილები. „სირცხვილიას“ კარნახით რომ მოსულხართ აქ და მისი კარნახით რომ გაჰკივით, შინ გვინდა დაბრუნებაო, იცით კი თქვენი „შინ“ ანუ „შინამე“ სად არის-მეთქი? სად არის და ევროპაშიო! – შემომძახეს, ამის მეტი რომ არ იცით, თქვე უბედურებო, მართლა სირცხვილი, თავლაფდასხმა და თავის მოჭრა-მეთქი, თქვენი „შინამე“, აქ არის – საქართველოში, კერძოდ ნაბაკევში, ბოსლევში, ეწერში, კინდღში, ხაშმში, ვაყაში, ხორგაში, დილიკაურში, ოდილაურში, ერკეთში-მეთქი.

იხ. 4 გვ.

სოსო ცინცაძე:

მე არ ვიცი, კელი დეგნანი რა ჩამოსხმის დიპლომატია, მაგრამ მისი პასუხი არ იყო დიპლომატიური...

(მეორე გვერდიდან)

არც ყაველაშვილის წერილი იყო დიპლომატიური, შეიძლება ის კარგი პარლამენტარია, შეიძლება კარგი ფეხბურთელიც იყო თავის დროზე, მაგრამ მისი წერილიდან გამომდინარე, ესეც ფაქტია, რომ **ასეთი ენით არ ელაპარაკებიან სტრატეგიულ მოკავშირეს. თუ არ მოგწონს ელჩი, ამისთვის სხვადასხვა საშუალებაა. ერთია ღია დაპირისპირება, პერსონა ნონ გრატად გამოცხადება, მეორე გზაა, დიპლომატიური არხებით აგრძნობინო ვაშინგტონს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ელჩი არასასურველია. ასეთ დროს ვაშინგტონმა შეიძლება ხმაურის გარეშე შეცვალოს ელჩი, მაგრამ ხომ ვხედავთ, რაც ხდება, ელჩს დავიწუნებთ საქართველოში და მერე 6-8 თვე ელჩი აღარ გვყავს.** უკრაინამ კიდევ ელჩი გაიწვია და საერთოდ არ გვყავს ელჩი. გარდა ამისა, დღევანდელი საერთაშორისო ვითარებიდან და საქართველოს მდგომარეობიდან გამომდინარე, არა მგონია, იმის ფუფუნება გვქონდეს, ჩვენი მთავარი სტრატეგიული მოკავშირის წარმომადგენელს ღიად ვუმართავდეთ არც ისე თავაზიან პოლემიკას.

— ყაველაშვილის წერილში ომში ჩართვის ნარატივზეა საუბარი. საქართველოში ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ გარე და შიდა ძალებს ჩვენი ქვეყნის პოლიგონად გადაქცევა სურთ. ასეთ დროს ხომ არ ჯობდა, ამერიკის ელჩს მეტი სიცხადე შეეტანა ამ თემაში, ნაცვლად ყაველაშვილის წერილის იგნორირებისა?

— ომში ჩართვის ნარატივი, ჩემი აზრით, თითიდან გამოწოვილია. საქართველოს ახლა ისრაელის სამხედრო პოტენციალი აქვს, თუ დიდი ბრიტანეთის, რომ ომში ჩართვა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენა ყოფილიყო? ასეთი რამ არც ამერიკელებს უთქვამთ, არც ფრანგებს. უკრაინელები რას ამბობენ, არ აქვს მნიშვნელობა. გასაგებიცაა, რომ უკრაინა უარს არ იტყოდა საქართველოს ომში ჩართვაზე, მაგრამ უკრაინა უკრაინაა და ამერიკა ამერიკაა. მე თუ მკითხავთ, ამერიკელების ინტერესებში დღეს სულაც არაა საქართველოს ომში ჩართვა. ეს ზედმეტი თავის ტკივილი იქნებოდა ამერიკისთვის. 2008 წელს დაიწყო ომი საქართველოსა და რუსეთს შორის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რითი დამთავრდა ეს ომი? ევროპელები ჩართეს ამ საკითხში. ახლა კიდევ ამერიკელებს უკრაინის ამბავი არ ჰყოფნით, ამას ემატება ახლო აღმოსავლეთის ამბები და კიდევ საქართველოს პრობლემა უნდათ?

— თუკი გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქართველოში ტესტავდნენ ომის ნარატივს ცალკეული ენჯეო-ები, მაშინ ხომ შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ამერიკაშიც არიან გარკვეული ძალები, რომლებსაც რაც შეიძლება მეტი ცხელი კერის გაღვივება უნდათ რუსეთის გარშემო?

— არ ვფიქრობ ასე. ტრადიციულად ამერიკაში ომის პარტია ყოველთვის სუსტი იყო. ისტორია გავიხსენოთ, პირველ მსოფლიო ომში როდის ჩაერთო ამერიკა? თანაც, ძლივს ჩაერთო, მანამდე ინგლისელებმა გერმანიის ელჩის წერილი მოიპარეს, ის წერილი მერე ნიქსონს დაუდეს მაგიდაზე. საუბარია იმაზე, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღია წერილი მისწერა გერმანიის ელჩს მექსიკაში — მექსიკა აიძულე, ომი გამოუცხადოს ამერიკასო. ეს წერილი მექსიკაში გერმანიის აგენტმა, ელჩის მოსამსახურემ მოიპარა და ინგლისელებმა ზუსტად ეს წერილი დაუდეს ამერიკის პრეზიდენტ ნიქსონს. გარდა ამისა, როტშილდმა და ებრაულმა ფონდებმა მილიარდები დახარჯეს იმისთვის, რომ ამერიკაში შექმნილიყო საზოგადოებრივი აზრი ამერიკელების ომში ჩართვისთვის. როგორც კი ამერიკაში ომი დამთავრდა, სენატმა გამოყო კომისია და ორიათასგვერდიანი მოხსენება დადო, რომლითაც დაამტკიცა, რომ ომი აწყობდათ იარაღის მწარმოებლებს. ამის შემდეგ ამერიკის სენატმა მიიღო ოთხი კანონი, მერე ორი დაემატა კიდევ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით. იაპონელებს რომ არ დაებომბათ პერლ—ჰარბორი, ამერიკა ომში არ ჩაერთვებოდა. ამიტომ ჩვენს პოლიტიკოსებს ვერც კი შევადრი ამერიკელ პოლიტიკოსებს. ჩვენთან „პოლიტიკოსია“ ყველა, ვინც ორ მიტინგზე გამოვა, სიტყვას იტყვის, მერე ძმაკაცობით პარლამენტში მოხვდება. ამერიკაში ეს სხვანაირად ხდება. ჩვენთან თუ ვინმეს ომი უნდა და გვყავს ასეთი გიჟები, ამერიკაში არ არიან ასეთი გიჟები. ეს გამორიცხულია. ამერიკელები ამბობენ, ჩვენ ორი ოკეანე გვაშორებს ევროპელებისგან, ევროპელები ომს იწყებენ და მერე ჩვენ გვითრევენ თავიანთ ომშიო. ამიტომ ძნელად დასაჯერებელია, რომ ამერიკას საქართველოს ომში ჩართვა უნდოდა. პირადად მე ამის არ მჯერა.

— დასავლელ დიპლომატებთან ასეთი ურთიერთობა გაუცხოებამდე ხომ არ მიგვიყვანს დასავლეთთან მიმართებით?

— გაუცხოება გამორიცხულია. საქართველოს რა ადგილიც ეკავა ამერიკის დიდ პოლიტიკაში, ის ადგილი უჭირავს ისევ. ეს არ არის ისრაელის ადგილი, მაგრამ ეს არ არის არც აფრიკის რომელიღაც ქვეყნის ადგილი.

მანანა ნოზაძე

მადლიერება ბიძინა ივანიშვილს

ჩვენ, საქართველოს ვეტერანი მოფარიკავეები, მხარს ვუჭერთ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის გურამ საღარაძის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№99-100,22-24.07.2022წ.) გამოქვეყნებული წერილის „დგება დრო სიკეთის რევანშისა“ — პათოსს.

დღეს რომ ფარიკაობა გვახარებს ბაზაძეების და სხვათა მიღწევებით, ამას ყოველივეს საფუძვლად უდევს ბატონი ბიძინა ივანიშვილის არა ერთჯერადი, არამედ სისტემური მექანიზმებით განხორციელებული მნიშვნელოვანი დახმარება.

თუმცა საქართველოში, საზოგადოების განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი სფერო არ დარჩა ამ ადამიანის ყურადღების მიღმა და ეს ჩვენი მოსახლეობისათვის ცნობილია.

და თუ ეს ასეა, ხელს ვინ გვიშლის, ვაჩვენოთ სიკეთის დაფასების უნარი და გამოვხატოთ ჩვენი შინაგანი განცდა მადლიერება ხომ სამართლიანობის გამოვლინებაა. ეს ხომ გარემოს სასიკეთო ენერგიად მოევლინება.

საქართველოს ვეტერანი მოფარიკავეები:

გ. კოსტავა, ი. ოსიპოვი, გ. ცაგარელი, ზ. ცქიტიშვილი, ა. გოგელია, ზ. მჭედლიძე, დ. სახვაძე

„შინ“ და „გარეთ“, ანუ ფსიქიკური აშლილობა თუ „ჩათლახობა“

(მესამე გვერდიდან)

ახლა ამ ბრიყვებს შევეშვათ და „დიდი სახალხო“ თავყრილობის ორგანიზატორ, უცხოელთა ტრენინგებზე მომზადებულ „პოლიტიკოსებს“ უნდა ვკითხო: იცით კი რას ნიშნავს ტერმინი „შინ“, ანუ ცნება-ტერმინის საპირისპირო შინაარსს რომელი სიტყვა გამოხატავს? ჩემი მკითხველი მიხვდება, რომ ეს კითხვები რიტორიკულია და მისი ადრესატებისგან პასუხს არ ველოდები. პასუხს მე გავცემ თქვენთან ერთად, ჩემო მეგობრებო, ამ პასუხს შორიდან დავიწყებ...

ამ ორი ათეული წლის წინ ჩვენმა ტელევიზიამ სენსაციური ფაქტი გაგვიმხილა: ერთი ახალგაზრდა კაცი ახირებულა: გინდა დაიჯერეთ გინდა არაო. მე დედაჩემისა და მამაჩემის შვილი კი არა, აფრიკაში, მდინარე კონგოს ნაპირზე მდებარე იკიკუკუში (მგონი ასე ამბობდა!) ვარ დაბადებული, იქ, არიან ჩემი მშობლები, და-ძმები, ბიძაშვილები და იქ მინდა დაბრუნებაო? სიზმარშიც სულ იქ ვარ ჩემიანებთან და აუცილებლად შინ უნდა დავბრუნდეო. შეწუხდა ოჯახი, საშველად ვის აღარ მიმართეს, გაგვაგებინეთ, ეს ბამბასავით თეთრი ფითქინა ბიჭი კონგოელი როგორ იქნებაო, გამოჩნდნენ ისეთი „მეცნიერებიც“, რომლებმაც ვარაუდი გამოთქვეს, რა ვიცით, იქნებ „სულთა გადასახლების“ ლეგენდა მთლად ლეგენდაც არ არისო. აკი ვალოდია ვისოცკის ერთ სიმღერაში ასეთი ფრაზაც არის: „აი, ის ბუნჩულა კაცი წინა ცხოვრებაში, ასე იყო თუ ისე, ის ახირებული კაციც მოიწვიეს ტელევიზიაში, ალაპარაკეს. თქვა იმ კაცმა: „კეთილი ძაღლი იყო“. ისე მენატრება კონგოს ნაპირზე გაშენებული ჩემი სოფელი, ჩემი ქოხი, დედ-მამა და და-ძმები, რომ ამის გაძლება აღარ შემიძლიაო,აუცილებლად უნდა წავიდე მათთან, ანუ შინო...

მერე ისიც გავიგეთ, რომ იმ საწყალს ფსიქიკური აშლილობა ჰქონია და შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში წაუყვანიათ, არ ვიცი მკურნალობამ უშველა თუ არა, მაგრამ ჩემს მიერ დასმულ რიტორიკულ შეკითხვას ასეთი პასუხი უნდა გავცე: თუ ვინმეს ჰგონია, რომ ძართველები შინ, ევროპაში უნდა დაბრუნდნენ, მათ ან ფსიქიკური აშლილობა აქვთ და სასწრაფოდ კლინიკაში მკურნალობა სჭირდებათ, ან საძმე გვაქვს სრულიად ბანალურ „ჩათლახობასთან“.

დიდი ეჭვი მაქვს, რომ სწორედ მეორე ვარიანტთან გვაქვს საქმე, რადგან არა მგონია, ევროპელ თუ ამერიკელ აკერმანებთან ტრენინგგავლილმა „პოლიტიკოსებმა“ „თავლაფდასხმულთა“ თუ „სირცხვილნაჭამთა“ ორგანიზაციიდან იყვნენ, თუნდაც არ იცოდნენ რას ნიშნავს „შინ“ და „გარეთ“.

ახლა მათ მიერ მოტყუებულ ბრიყვებს ვეუბნები: თქვენ ბრიყვები კი ხართ, მაგრამ იმასაც ვერ ხვდებით, რომ მტრებმა ჩაგაგონეს; „შინ“, ევროპაში უნდა დაგაბრუნოთო; თქვენი მამა-პაპა, პაპის პაპა და მისი პაპის პაპაც ღვანკითსა და ეწერში რომ ცხოვრობდნენ, შინ არ იყვნენ განა? შინ თუ არა, მაშ გარეთ ყოფილან ამდენი ხანი? თუ თავი ქართველებად მიგაჩნიათ, ქართველებს სამიათასი წელია აქ აქვთ სახელმწიფო და თქვენ ამდენ ხანს გარეთ იყავით და ახლა ბრუნდებით შინ? ასეთი რამ ოდესმე უთქვამს თქვენს მამა-პაპას? ანდერძი დაუტოვებიათ თქვენთვის „შინ დაბრუნდითო“? როგორც ებრაელებმა დაუბარეს თავიანთ შთამომავლობას ოცდაექვსი საუკუნის წინათ! დაუბარეს და შთამომავლობამაც შეასრულა ანდერძი! თქვენ ვის ანდერძს ასრულებთ? შარლ მიშელისას, თუ კელი დეგნანისა?

ჰოდა, რა მოვუხერხოთ ამდენ „გარეთ დარჩენილს“, რომლებიც დრო და დრო ცენტრალურ პროსპექტს კეტავენ ბღავილით: შინ გვინდა ევროპაშიო!!!

მთავრობას მინდა მივმართო: ბატონებო, ზემოთ ნახსენები არანორმალური კაცისა არ იყოს, რომელსაც ეჩვენებოდა, რომ კონგოს ნაპირზე იყო დაბადებული და თავის „მშობლიურ“ აფრიკულ სოფელში წაბრძანება სურდა, ახლა თუ ამდენ ადამიანს ჰგონია, რომ მისი „შინ“ ევროპაშია, იმ ერთი კაცივით ყველას ხომ ვერ გამოვკეტავთ „ფსიხუშკაში“, მით უფრო, რომ დღეს გაქანებული დემოკრატია და ნეოლიბერალური დიქტატურაა, ამიტომ გავუშვათ ეს ხალხი ევროპაში ანუ შინ და ესენიც დაისვენებენ და ჩვენც, თუ რა თქმა უნდა, ევროპელები თავისიანებად ჩათვლიან ამ „გარეთ“ დარჩენილ ტვინნაღრძობ არსებებს.

ერთ რჩევასაც მივცემ ხელისუფლებას: ამ „გარეთ“ დარჩენილებს რომ გაამგზავრებთ „შინ“, აუცილებლად გააყოლეთ ე.წ. სახალხო დამსმენი (უჰ, ბოდიში!) „დამცველი“ ნინო ლომჯარია და ასევე ე.წ. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რა იცით რაში დასჭირდებათ შინდაბრუნების მოლოდინეებს ეს ორი ე.წ. ქალბატონი, რომლებიც კარგად იცნობენ, ისინი იქაურ „ბლატნოი ბიჭებს“ კუბილიუსებსა და შარლ მიშელებს.

რა ამის პასუხია და ვერ გავიგე „მიშელი“ ამ შარლის მეორე სახელია თუ გვარი? ერთი ცნობილი რაგბისტი ჰყავდათ ფრანგებს და მიშელი ერქვა სახელად, ამიტომ ვიკითხე ამ შარლისთვის „მიშელი“ სახელია თუ გვარი-მეთქი, თუმცა ამის მეტი პრობლემა არ მოგვცა ღმერთმა.

მკითხველს არ გაუჭირდებოდა იმის მიხვედრა, რომ ამ წერილის მთელი შინაარსი ირონიის, იუმორისა და სარკაზმის ნაზავია, სერიოზულად როგორ უნდა იმსჯელო ამ მოვლენაზე? თუმცა არასერიოზულ საკითხზე სერიოზულ მსჯელობასაც ახერხებს ზოგიერთი, მაგალითად ერთი „ასტრონომი“ ამ ბოლო ხანში ენის მართლწერის საკითხითაა გატაცებული და მწერალთა გაზეთში ამტკიცებს, ქართველი გრამატიკოსები რომ გვასწავლიან „რომ“-ის წინ მძიმე უნდა დასვათ, არ არის მართალიო. აბა, რა უნდა „რომ“-ის წინ მძიმეს, როდესაც წინადადება „რომ“-ით იწყებაო. აი, ამის მაგალითად მოჰყავს სტრიქონი ცნობილი ლექსიდან; „რომ იცოდეთ ჩემი გულის დარდები, გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები“. ჰა, რავარი მიგნებაა.

ჰოდა, ამ აბსურდის ქვეყანაში ასეთი მსჯელობა ნამდვილი აბსურდი არ არის? არის, მაგრამ არც იმ გრამატიკის „ასტრონომს“ აწუხებს ეს და არც იმ „გარეთ დარჩენილებს, რომლებსაც შინ დაბრუნება უნდათ. თუმცა, ან იმ „ასტრონომის“ გრამატიკოსობა რატომ უნდა გვიკვირდეს, ან მამა-პაპური ღვანკითელი თუ ერკეთელი ჯეელის ახირება „შინ მინდა, ევროპაშიო!“ როცა ნახევარ მსოფლიოში აღარავის უკვირს, კაცი რომ გაიძახის — ქალი ვარო და პირიქით, მეტიც!

წვერულვაშმოშვებული კაცი რომ იტყვის ქალი ვარ და გათხოვება მინდაო, ამაში ვინმემ ეჭვი თუ შეიტანა, ლიბერასტული კანონების მიხედვით, შეიძლება „გასროკონ“ კიდეც.

ამიტომ, მალე გაუშვით „შინ“ ეს გარეთ დარჩენილი ქართველები და დაგვასვენეთ, თორემ...

შინ მყოფი ქართველების სახელით

ზურაბ ცუცქირიძე

ეუაზე გახლეჩილი სამშობლო

ერთობა, ერთად დგომა! – ეს სიტყვები, ახლა რომ დეპოლარიზაციას ეძახიან, არახალია, ქართველებისთვის. პატივცემულ ევროკავშირს რომ ჰგონია, ჩვენთვის მანამდე უცნობი იდეა შემოგვთავაზა, ასე როდია! არა, ალბათ მათაც იციან, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვთქვათ: დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული, ერთიანობისკენ მოვუწოდებთ ერთმანეთს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სიტყვა ერთობას სიტყვა კეთილდღეობაც კი ამოუყენა გვერდში, იქნებ როგორმე შედგეს ქართველთა ერთიანობაო, მაგრამ, გაგიგონია? რაც უფრო მეტი მოვინდომეთ ამ გამოწვევით გახარებულებმა, მით ვუფრო გაღრმავდა გაურკვეველი შურიანობა, ეგოიზმი, განცალკევება..

ვითომ რაღაცები კი დააწყო ბატონმა ედუარდმა, „იზმებით“ მოჯადოებულთა ჯგუფების მიტინგები (ხელჩართული ბრძოლებიც კი) შეწყდა თბილისის ქუჩებში, მაგრამ „რა გინდა რო ქნა“ – „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო ჯიში მისიო“... არა, ბატონო, ნამდვილად რაღაც უცნაური ჯიშისანი ვართ, აყალმაყალი, არეულობა, დაპირისპირება უფრო გვეხერხება, ვიდრე, მშვიდობიანი კავშირი და კეთილდღეობისთვის ერთად შრომა და გარჯა. მაინც რა ვერ გავარკვიეთ ამ ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში? მიჭირს გავარღვიო ის ბუნდოვანება ჩვენი ერის ერთობასა და ერთსულოვნებაში ხელს რომ გვიშლის და აღმოვაჩინო რაიმე ლოგიკური კავშირი სამშობლოზე ზრუნვასა და არშემდგარ ერთობას შორის, მაგრამ სამწუხაროდ, ამაოდ დავიხარჯე. თუ მართლა გვჯერა, რომ ნამდვილად ევროპული აზროვნებისანი ვართ, რასაც ჩვენი ქრისტიანული ისტორია გვიდასტურებს და დიდ მოღვაწეთა შემოქმედებაც გვიმოწმებს, ახლა რა დაგვემართა, რატომ არ გვინდა ერთად შევდგათ ფეხი ევროპისკენ მიმავალ გზაზე?!

ეჰ, კარგი პირი არ უჩანს ჩვენს დღევანდელ დამოკიდებულებას გაერთიანებისადმი. ინფანტილურია იგი და უსაქციელო ბავშვების თამაშსა ჰგავს. ვიღაცამ (ევროკავშირიდან) გეოგრაფიული მდებარეობა შეგვახსენა, სხვა ხალხიაო, სხვა კონტინენტიო... ამ ნათქვამმა ძალიან დამაფიქრა. ეს მშვენიერი, ეგრეთ წოდებული ევროპული ცხოვრება, სისუფთავე, გამწვანება, სურსათ-სანოვაგით სავსე მაღაზიები, ყოფითი კულტურა, შრომის დაფასება და სხვა უამრავი სიკეთე – ჩვენ რომ ასე გვხიბლავს, ევროპის ქვეყნებში ნაცხოვრებ ქართველს ზღაპარივით რომ ახსოვს და თავის ქვეყანაშიც იგივე ენატრება, – დიახ, ის, ადამიანზე მორგებული სიკეთეები ვინ მოუტანა ევროპელებს? ვფიქრობ, რომ არცთუ ისე ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვინ მოუტანა და თავად ევროპელებმა შექმნეს ყოველივე. და როგორ შექმნეს? შექმნეს არა გაიძვერობით, ერთმანეთის მოტყუებით, უსაქმურობით, სხვის ნაშრომ ქონებაზე დახარბებით, არამედ შრომით, ერთობით, სამშობლოს სიყვარულით. ამ შრომას ეგოიზმი არ ბოჭავდა, თითოეული ევროპელი არა მხოლოდ თავის საცხოვრისზე, არამედ თავის ირგვლივ არსებულ გარემოზეც ფიქრობდა და ზრუნავდა, მდინარე იქნებოდა ეს თუ ზღვა, გზა თუ ხიდი, ტყე თუ მთა... იცავდა, უფრთხილდებოდა, უვლიდა. ჩვენთვის სანუკვარი ევროპა ევროპელებმა ააშენეს. ქვეყანას, როგორი პატარაც არ უნდა იყოს იგი, ხალხის გარეშე, მარტო მთავრობა ვერ მოუვლის... ძვირფასო მკითხველო, ახლა ჩვენ მეტად თავსამტვრევ საკითხს მივადექით. ვინ ასწავლა ევროპელ ხალხს საზოგადო ადგილების გაფრთხილება და მოვლა? რა გვიჭირს ჩვენც რომ ასე მოვიქცეთ? და ახლა პირდაპირ იმ კითხვაზე გადავდივარ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს მეტისმეტად რომ აწუხებს: იმ პოლიტიკოსების დაპირისპირება და ერთმანეთის ძაგება იმ დროს, როდესაც ევროპიდან სინათლე წამოვიდა, დიდ საფიქრალს გვიჩენს ქართველ ხალხს. ნებისმიერი სინათლე ხომ სასარგებლოა, მაგრამ სწორედ ევროპიდან ფანჯრის გახსნამ და მზის სხივების შემონათებამ ახალი სიხარული და იმედი გაგვიჩინა. მაგრამ, ჩვენს „ნიჭიერ“ პოლიტიკოსებს თვალი მოჭრა ამ სინათლემ და ახალი პრეტენზიებითა თუ ერთმანეთთან ქიშპით ხალხს გული გაგვიხეთქეს. ერთად იყავით და საქმე აკეთეთო! – გვითხრეს, და ნეტავ რა არის სადავო ევროკავშირის მესვეურთა ამ შემოთავაზებაში? თითქოს, ერთი შეხედვით, არცთუ ისე ძნელად შესასრულებელი წინადადებაა იმ თორმეტსაკითხიან რეკომენდაციაში, მაგრამ, რა

პოლიტიკოსობა კი, მაგრამ უპირველესად – ადამიანობა!

ვქნათ, რომ ამ სიადვილესაც განუდგა ეგრეთ წოდებული რადიკალური ოპოზიცია... რომელ დეპოლარიზაციაზეა ლაპარაკი, პირიქით, გაღრმავდა განხეთქილება და ახლა გაჩნდა ახალი სადავო თემა ევროპული რეკომენდაციის პირველივე საკითხზე. რა იქნება შემდგომ ვინ იცის და საერთოდ, ხედავს ვინმე მეორე საკითხზე გადასვლის შესაძლებლობას? დრო მიდის ერთმანეთზე გადაბრალებ-გადმობრალებაში, საქართველო კი ისევ იქ დგას, სადაც ამ ოცი წლის წინ იდგა და ელოდა... საწყალი ქართველი ხალხი, ვის ხელში ვართ. ისე იქცევიან, რომ უცხოელს კი არა ჩვენც გვაკვირვებენ. გაკვირვება რა არის, გვრცხვენია!. სამი ქვეყნიდან (უკრაინა მოლდოვა და საქართველო), – გამოგვარჩიეს და არ მოგვცეს ევროკავშირის კანდიდატის წოდება. არადა, ხომ ყველამ, ვისაც კი რაიმე გაგვგება, ვიცით, რომ არავისზე ნაკლები ქვეყანა არა გვაქვს. უდავოდ, რაღაც მოხდა. ნუთუ შეცდა ევროკავშირის საბჭო? რა თქმა უნდა არა. კი არ შეცდა, იმ ოპოზიციამ, პარლამენტში რომ დიდი თხოვნა-მუდარით შეიყვანეთ, ძვირფასო პარლამენტარებო, ახლა რომ თქვენთან ერთად სხედან, და ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაზე რომ გედავებიან, მერე თქვენ თავის მართლებას კვირეები, თვეები (წლებიც კი!) უნდებით, აი იმ (ამ) ოპოზიციამ„კარგად“ იმუშავა აქაც და იქაც! ჩვენ – ხალხმა, კი ვიცით სამშობლოს რომ უღალატეს, მაგრამ ბოღმით და ქვეყნის ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით გამძვინვარებულებმა, ბევრი რამ არ იციან, მათ შორის, არც სამშობლო!..

ასეა თუ ისე, სათქმელი რომ მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვთქვათ, ევროკავშირის კანდიდატობა ქართველებს იგივე „კარგმა“ ქართველებმა დაგვაკარგვინეს, ციხე შიგნიდან ტყდება. დამნაშავე აქვე არის. იმ მცირედი წარმატებით გაბოროტებული, იშვიათად, მაგრამ მაინც, რომ აქვს მთავრობას. მათ დაამუნათეს ევროკავშირის წევრები, – ეს მთავრობა ევროკავშირისათვის ჯერ არ არის მზადო. ასეთი აზრების ჩანერგვით მოშხამეს ელჩები. უკეთესს რას ვისმენთ სახალხო დამცველისა და მისი წარმომადგენლებისგან, ოპოზიციონერი რესპონდენტებისაგან. ჩართეთ რადიო „პალიტრა“ რადიო „იმედი“ ტელევიზიის არხები რამდენიმე არხი... და გაიგებთ „სიმართლეს“ როგორ ესხმიან თავს მედიას, როგორ აპატიმრებენ თავისუფალი სიტყვის მებაირახტრეებს! ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადამიანებს სიმართლეზე უფრო მეტად შეთხზული ამბები და არაკები უყვართ. ევროპელი ელჩებიც ხომ ადამიანები არიან!

რა ვქნათ, ჩვენ – რიგითი მოქალაქეები უძლურნი ვართ, როგორ ჩავერთოთ, როგორ დავარწმუნოთ გაჯიუტებულები, როგორ გავაერთიანოთ, როგორ ავამოქმედოთ ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ. როგორ ჩავუნერგოთ ხალხის სურვილი – ევროპული კეთილდღეობა, სამართლიანობა, მშვიდობა რომ არის!.

ერთად დასხდომას ვერ ახერხებენ, რომელ, გაერთიანებაზე, ერთად ყოფნაზე მელაპარაკებით, ჯერ სადა ვართ, მათ „უამრავი რამ აქვთ გასაყოფი“, ლამის სამშობლო შუა გახლიჩონ...

ახლა, ქართული ოცნების ზოგიერთი წარმომადგენელი (წარმომადგენლებიც კი) უცნაურად იქცევა, პოლიტიკოსებს რომ არ შეფერის ისე. პოლიტიკოსებს კი არა... ვინც არ უნდა იყოს, მეცნიერი თუ დიდი მოაზროვნე, მთავარი ყველგან, ყველასთვის ადამიანობაა. ქართველი კაცი ოჯახიდან კეთილად გასტუმრებულ და მასპინძლობით მადლიერ სტუმარს აუგს და საყვედურს უკან არ დაადევნებს. ეს არ არის არც ქართველობა,არც პოლიტიკოსობა და არც ადამიანობა! ხალხი პოლიტიკოსებში, პოლიტიკოსთან ერთად ადამიანს ეძებს!

გულნარა სტურუა

საქართველო უნდა გადარჩეს, ღირებულებები მოიცდის!..

(მესამე გვერდიდან)

– კონსტიტუციით საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება დაცულია. პრეზიდენტის პოზიცია მოსამართლე ჩხიკვაძესთან მიმართებაში მოქმედი კონსტიტუციის ცალსახად უგულებელყოფაა?

– რა თქმა უნდა. შერჩევითი მიდგომაა. ფაქტობრივად, პრეზიდენტიც, ამ შემთხვევაში, იმ მონურ მორჩილებაში შედის. გამოდის, პრეზიდენტი ითვალისწინებს უცხოელებთან ურთიერთობის პრინციპებს და არა საკუთარი მოსახლეობის ტკივილს, დაჩაგვრას, თუნდაც ზეწოლას, რაც წარმოუდგენელია. კი, ბატონო, პრეზიდენტი არის გარანტი, თითოეული ადამიანის უფლების, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ არის. მეორე – პრეზიდენტი ხვდება მედიის წარმომადგენლებს და ყოველგვარი მტკიცებულებების და ბრალის გარეშე „ალტ ინფოს“ არ პატიჟებს – სხვანაირი შეხედულებები გაქვთო. გამოდის, ზურაბიშვილი იმ ნაციონალების პრეზიდენტიც არის, რომლებმაც ლანძღეს, რა არ უწოდეს, მაგრამ ახალგაზრდების საკმაოდ სოლიდური ჯგუფის პრეზიდენტი – არა. თვითონ ეწევა დისკრიმინაციას, რაღაზე ვისაუბროთ. იგივე ამერიკის საელჩოსთვის „პოსტ ტვ“-ია მიუღებელი. რატომ? ფორმალურადაც არ იცავენ ზრდილობის წესებს. ურთიერთობის ეტიკეტის დაცვა ფორმალურადაც არ ხდება. სადაც აშშ-ის ელჩი იმას ამბობს, მე ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული დეპუტატის წერილი ბოლომდე არ წავიკითხე, მეტი შეურაცხყოფა რა გინდა.

– ექსპერტი გია ხუხაშვილის შეფასებით „ქართულმა ოცნებამ“ ამერიკის ელჩის გაწვევის სპეცოპერაცია წამოიწყო...

– ხუხაშვილი, საიდანაც უნდა, ქოთანს ყურს იქედან მოაბამს. იყო პერიოდი ინტერესით ვუსმენდი. ახლა არ ვუსმენ, რადგან ის ძალიან მიკერძოებული პერსონაა, განწყობებით მუშაობს, თან საკმაოდ ცვალებადია. თუ ხმა ამოიღე, რატომ დამარტყიო – ეს სპეცოპერაციაა?! ფაქტობრივად, ეს გამოდის. დავუშვათ, თუ ქმარმა ცოლი დაჭრა და ქალმა ხმა ამოიღო, ეს სპეცოპერაციაა, შეტევაა?! ის, რომ „ქართული ოცნება“ ამ შემთხვევაში დაუდგეს გვერდში თავის ქვეყნის მოსამართლეს, რომელიც დამოუკიდებლობას იცავს, ეს სპეცოპერაციაა?! იუსტიციის საბჭოს ყოფილ წევრებს ვუსმინე. საოცარი რაღაცები თქვეს და რა, ხუხაშვილმა არ იცის, რომ ეს ასეა? მე ვიცი.

– დავუბრუნდეთ 12-პუნქტიან გეგმას და მის ვადაში შესრულებას. საქართველოში მყოფი ევროპარლამენტარები ცდილობენ ოპოზიცია და ხელისუფლება ერთ მაგიდასთან დასხან პოლარიზაციის შესამცირებლად. ფაქტია, დეოლიგარქიზაცია, ერთ-ერთი-პუნქტი, ნაცებისთვის ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერის პოსტიდან წასვლასთან ასოცირდება. ეს დეოლიგარქიზაციასთან კავშირშია?

– რა თქმა უნდა. როგორც კი პრემიერმა თქვა, რომ საქართველო ომში არ ჩაერთვება, მაშინვე ვთქვი, ღარიბაშვილს წითელი აუნთეს-მეთქი. რა დეპოლარიზაცია, რა შერიგება, ეს ყველაფერი იმისთვისაა, როგორმე „ოცნება“ დაარწმუნონ, რომ ხელისუფლება ოპიზიციას გადააბარონ. სხვა აქ არაფერია. თუ არადა, მაშინ ბოლობოლო, ომი იქნება. ეს არის გამოსავალი, რომლითაც უკვე ჩვეულებრივ ხელისუფლების წაგლეჯვა წავა. ომში ჩართვა და ხელისუფლების შეცვლა ერთი და იგივეა. რა 12 პუნქტი... ამ პუნქტებს თვითონ აშშ-ის ელჩი არღვევს, არადა, მოთხოვნებს შორისაა სასამართლო რეფორმა. ეს არც მიკვირს, რადგან ამ პროცესებში გარკვეულწილად ჩახედული ვარ. ეს არ არის პირველი შემთხვევა, დიდი ხანია ასე თავხედურად ხდება. ლაშა ჩხიკვაძეს ეყო იმის გამბედაობა, რომ ხმამაღლა ალაპარაკდა, თორემ ეს სულ ხდებოდა. ყველა, ვინც კი ჩამოდის, ცდილობს, ხელისუფლებას შეაგნებინოს, რომ ხელისუფლება გადასცეს კრიმინალების ბანდას.

– თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ევროპარლამენტარების ეს ვიზიტები რეალურად ხელისუფლების ჩანაცვლების პროცესის დაწყებას ნიშნავს?

– კი. როდესაც ღარიბაშვილმა და ჩვენმა ხელისუფლებამ ომში ჩართვაზე უარი განაცხადა, გასაგები იყო, რომ მუშაობა დაიწყებოდა აქ ხელისუფლების ცვლილებაზე. რა სტრატეგიული პარტნიორი, სასაცილოა ეს ყველაფერი, ჩვენ ვართ ინსტრუმენტი და დღეს ინსტრუმენტი პატრონს აუჯანყდა – როგორია?! ეს პროცესი მიმდინარეობს ჩვენ თვალწინ და ჩვენ თუ ამაზე ხმას ვიღებთ, გვიბრაზდებიან, საერთოდ ხმას რატომ იღებთო. საკუთარი პრეზიდენტი გიბრაზდება, ამაზე ხმას რატომ იღებო... რატომღაც ფიქრობენ, რომ იციან, რა სჭირდება ქართველ ხალხს. ქართველ ხალხს ომი არ სჭირდება. საქართველო უნდა გადარჩეს. ომი და საქართველოს დაღუპვა, ეს სინონიმებია. თუ ომში ჩაგვითრიეს როგორმე, ამას ხელისუფლების ცვლილება მოჰყვება და ეს საქართველოსთვის დაღუპვაა. თუ ელჩი და დამოკიდებულებები შეიცვლება და განმარტებები გაკეთდება, რატომ მოხდა ეს ამხელა ლაფსუსები, კიდევ შეიძლება ამ ურთიერთობის შენარჩუნება, თუ არადა, ეს ურთიერთობები უკვე განწირულია. საქართველოს, ალბათ, გადასახედი აქვს თავისი ადგილი სამხრეთ კავკასიაში, რასაც ძალიან გონივრულად მიჰყვება ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და ა.შ. ეს არის ჩვენი გადარჩენის საკითხი. საქართველოს ისტორია ყოველთვის ასეთი იყო. ზოგჯერ საძულველ მტერთან მოძებნიდა დიპლომატიურ კავშირს, რათა გადარჩენილიყო.

დღეს, მე თუ მკითხავთ, ევროპა ღირებულებებისგან დაცლილია, არაფერი გააჩნიათ ლგბტ პროპაგანდის მეტი. დღეს ჩვენთვის ღირებულებებზე მეტად მნიშვნელოვანი, გადარჩენაა. ნომერ პირველი საკითხი ყოველთვის არის გადარჩენა, ღირებულებები მოიცდის. აქედან გამომდინარე ღირებულებებს საქართველოს არსებობა არ უნდა შეეწიროს!

შორენა კოწოწაშვილი

თავაშვებულ საბაზრო სპეკულაციას მთელი მსოფლიო ომს და პანდემიას აბრალებს!

ომის გავლენა – ფასებზე ისტორიული მაქსიმუმი

ბოლო თვეებია მსოფლიო საგზაგადოება სასურსათო კრიზისზე საუბრობს, რომელიც უკრაინაში რუსულმა ომმა გამოიწვია. ციფრები ცხადყოფს, რომ ომის გავლენა სასურსათო ფასებზე დიდია და შეიძლება ითქვას, ისტორიულიც.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომელიც ყოველწლიურად აჯამებს სურსათის ფასების ინდექსებს, ამბობს, რომ წლების განმავლობაში ასეთი მაღალი ფასები არ აღრიცხულა! ორგანიზაციის ჩანაწერები სათავეს 1990 წლიდან იღებს.

„მიმდინარე წლის მარტში, ფასებმა ყველა დროის მაძსიმუმს გადააჭარბა,“ – წერს FAO საკუთარ ანგარიშში. ამასთან, ორგანიზაცია განმარტავს, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში ფასები იკლებს, თუმცა გასულ წლებთან შედარებით, კვლავ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

გლობალურად, სურსათზე ფასების ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოს 46 ქვეყანაზე. განსაკუთრებით აფრიკის 33, აზიის 10, ლათინური ამერიკის 2 და ევროპის ერთ ქვეყანაზე. სპეციალისტების შეფასებით, ეს ქვეყნები გარე დახმარებას საჭიროებენ. ორგანიზაციის თქმით, ამ სიაში შედის უკრაინაც.

ფასები აშშ-ში საშუალოდ 14.4%-ით გაიზარდა, გერმანიაში 12.4%-ით, დიდ ბრიტანეთში 20%-ით. განსაკუთრებით რთული ვითარებაა პაკისტანსა და ეგვიპტეში, სადაც სურსათზე ფასები საშუალოდ 30-40 პროცენტითაა გაზრდილი. ოფიციალური მონაცემებით, შექმნილი ვითარება განსაკუთრებულ გავლენას მოახდენს კონგოზე, ავღანეთზე, ნიგერიაზე, იემენზე, ეთიოპიაზე, სამხრეთ სუდანზე, პაკისტანსა და ჰაიტიზე. ყველაზე მეტად გლობალური ფასების ზრდამ უკვე იმოქმედა ლიბანზე. სადაც ფასები მნიშვნელოვნად გაზრდილია.

* * *

სპეციალისტები ამბობენ, რომ მომატებული ფასები კიდევ უფრო გაზრდის მსოფლიოში იმ ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც შიმშილობენ. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ასეთი ადამიანების რაოდენობა მსოფლიოში 828 მილიონს შეადგენს.

2020-21 წლების მონაცემებთან შედარებით, მსოფლიოში უსაკვებოდ დარჩენილი ადამიანების რაოდენობა 46 მილიონით, 2019-2021 წლების მონაცემებთან შედარებით კი 150 მილიონითაა გაზრდილი. სპეციალისტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს რიცხვი 2022 წელს უფრო გაიზრდება.

ცვალებადი ფასები – ახალი მონაცემები

2022 წლის გაზაფხულიდან, ზაფხულის პირველ თვეებში, ოფიციალაური მონაცემებით ფასები გარკვეულ პროდუქტებზე შემცირდა, რაც ზოგიერთ პროდუქტზე მოთხოვნის შემცირებამ და ახალმა ბაზრებმა განაპირობა.

თუმცა, პროდუქტების ნაწილზე, მათ შორის რძესა და ხორცზე, ფასები გაზრდილია.

ფასები, ბოლო სამ თვეში, შემცირდა:

მარცვლეული – მსოფლიოში მარცვლეულის ფასმა, მაისთან შედარებით, 4.1 პროცენტით იკლო. თუმცა, 2021 წლის ივნისთან შედარებით, ზრდამ 27.6 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ხორბალზე მსოფლიოში ფასები ერთ თვეში დაეცა, გასულ წელთან შედარებით, 48.5 პროცენტით არის გაზრდილი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უკრაინაში რუსული ომია. ორივე ქვეყანა ამ მიმართულებით მსოფლიოში უმსხვილესი მოთამაშეა.

ოფიციალური მონაცემებით, მაისთან შედარებით, ივნისში სიმინდის ფასმაც იკლო და 3.5 პროცენტით შემცირდა. სპეციალისტების თქმით, სიმინდზე ფასების კლება ამერიკულმა ბაზარმა განაპირობა. სპეციალისტების შეფასებით, გასულ წელთან შედარებით, სიმინდზე ფასების ზრდა უკრაინაში რუსეთის ომმა განაპირობა. ორგანიზაცია განმარტავს, რომ ომის გამო შემცირებულია უკრაინიდან ქერის ექსპორტიც.

* * *

გასულ წელთან შედარებით, ფასი რეკორდულად არის გაზრდილი მცენარეულ ზეთზეც. თუმცა, 2022 წლის ივნისსა და მაისის თვეებს შორის, მცენარეული ზეთის ფასმა 7.6 პროცენტით იკლო.

ამავე პერიოდში შემცირდა მზესუმზირისა და სოიოს ზეთების ფასებიც, რადგან როგორც სპეციალისტები ამბობენ, გლობალურად ამ პროდუქტებზე მოთხოვნა შემცირდა.

„ფაქტორები, რომლებმაც პირველ რიგში გლობალური ფასები გაზარდა, ჯერ კიდევ მოქმედებს,“ – ამბობს მასიმო ტორერო კულენი, რომელიც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მთავარი ეკონომისტია. მიზეზებს შორის არის რუსეთის ომი უკრაინაში, კლიმატური ცვლილებები და პანდემია, რომლის დროსაც მიწოდების ჯაჭვში შეფერხებები წარმოიშვა.

ბოლო სამ თვეში ფასები გაიზარდა:

ხორცი – სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, 2022 წლის ზაფხულში, გაზაფხულთან შედარებით ფასები გარკვეულ პროდუქტებზე გაიზარდა.

ორგანიზაციის ახალი მონაცემების მიხედვით, 2022 წელის ივლისში, მარცვლეულის გლობალური წარმოება 7 მილიონი ტონით გაიზარდა. თუმცა, სპეციალისტები ამბობენ, რომ გასული წლის მაჩვენებლებს ეს მონაცემები 0.6 მეათედი პროცენტით ჩამორჩება.

ყველაზე მეტად, შეიძლება ითქვას, რომ ფასები გაიზარდა ხორცზე, რომლის ინდექსიც საშუალოდ 124.7-ია. მაისთან შედარებით, ხორცის ფასი 1.7 პროცენტით არის გაზრდილი. სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს რეკორდული მაჩვენებელია.

გასულ წელთან შედარებით, ხორცის ფასი 12.7 პროცენტით გაიზარდა. ფასების ზრდა ეხება ყველა სახის ხორცს. ფასები განსაკუთრებით გაზრდილია ფრინველის ხორცზე, რომელიც ანალიტიკოსების შეფასებით, ისტორიულ მაქსიმუმზეა.

ორგანიზაციის შეფასებით, ფრინველის ხორცზე ფასების ზრდა უკრაინაში რუსეთის ომმა და ფრინველის გრიპმა განაპირობა.

რძე და რძის პროდუქტები – სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ისტორიულ მაქსიმუმზეა ფასები რძის პროდუქტებზეც, რომლის ინდექსმა ივნისში 149.8 მეათედი შეადგინა. მაისთან შედარებით, რძესა და რძის პროდუქტებზე ფასები 4.1 პროცენტით არის გაზრდილი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, ფასები 24.9-მეათედი პროცენტით გაიზარდა.

რძის პროდუქტებზე ფასების ზრდა, ანალიტიკოსების შეფასებით, პანდემიას და მიწოდების ჯაჭვში პრობლემებს უკავშირდება.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამბობენ, რომ სავაჭრო ხარჯების შემცირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას.

აქვე, სპეციალისტები განმარტავენ, რომ კარგად ინტეგრირებული გლობალური აგროსასურსათო სისტემა შეიძლება დაეხმაროს ყველა ქვეყანას, გაუძლოს უპრეცედენტო გამოწვევებს, – იქნება ეს ომი, პანდემია თუ პრობლემები მიწოდების ჯაჭვში.

გაერო, სხვა ქვეყნებთან ერთად, აქტიურად მუშაობს რუსეთთან, რათა მოხდეს სხვადასხვა მარშრუტების შემუშავება, რომლითაც უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტზე გატანა მოხდება. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტი შეწყვეტილია. ამასთან, უკრაინელი ფერმერები ამბობენ, რომ რუსი სამხედროები მათ მარცვლეულს იპარავენ და რუსეთში გააქვთ.

საბა გუჯაბიძე

საღამდე გაშლით ფეხს და საბანს...

რა დაგიჯდებათ დასვენება ამ ზაფხულს

საკვებ პროდუქტზე, პირველადი მოხმარების ნივთებზე, წამლებზე, ბენზინზე და მოკლედ, გაზრდილი ფასები, ცხადია, პირდაპირ აისახა ზაფხულში, დასვენებისთვის გადადებულ ხარჯებზე. ის თანხა, რაც, საკმარისი იქნებოდა შარშან ან შარშან წინ, მაგალითად, ოთხსულიანი ოჯახის დასვენებისთვის ზღვაზე თუ მთაში, წელს აღარ გეყოფათ.

დარგის სპეციალისტები თვლიან, რომ გარდა ინფლაციისა, პანდემიის პერიოდში წარმოქმნილმა „ტურისტულმა შიმშილმა“ და დღეს, საკურორტო ბიზნესის, ფაქტობრივად, თავიდან გაცოცხლებამ, კურორტებზე ბინებისა და სასტუმროების ფასების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

მაგალითად, **დასავლეთ საქართველოში, ურეკსა და შეკვეთილს შორის მდებარე პატარა სოფელ კაპროვანში, თუკი 2020 წელს ერთ კოტეჯს, ღამეში 100 დოლარად დაიქირავებდით, დღეს მისი ფასი 150 დოლარია. ანუ, დამსახურებული დასვენება მოკრძალებული ხარჯებით წელს ვერ გამოგივათ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ბინაც უნდა დაიქირაოთ, საჭმელადაც კვების ობიექტებს უნდა მიაკითხოთ და ბათუმის კენჭებიან სანაპიროზე პირსახოცის გაშლის ნაცვლად, შეზლონგისკენ უნდა გაგექცეთ თვალი.**

ბათუმს, ქათქათას...

რაკი ბათუმი, ზაფხულობით მაინც ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი დასასვენებელი ადგილი ვახსენეთ, მაშინ, ვთქვათ, დაახლოებით რა თანხა შეიძლება დაუჯდეს მაგალითად, სამსულიან ოჯახს ამ ზაფხულს ბათუმში ერთკვირიანი დასვენება.

თუკი **მატარებლით** გადაწყვეტთ ზღვაზე წასვლას, მეორე კლასის ბილეთში 25 ლარი უნდა გადაიხადოთ. პირველი კლასის ბილეთში – 60 ლარი. აქვე იყოს ბიზნეს კლასის ფასიც – 100 ლარი. სამარშრუტო ტაქსით ბათუმამდე ჩასვლა ერთ კაცს 25 ლარი დაგიჯდებათ.

იხ. 9 გვ.

სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

მარიკა სილაგაძე

53 წლის, ინჟინერი, გიდი

მარიკა სილაგაძე, სოხუმის საკათედრო ტაძრის მგალობელი, ინჟინერ-ტექნოლოგი, პოლიციის კაპიტანი და გიდია. ეს ოთხი, ერთი შეხედვით თითქოს შეუთავსებელი პროფესია, ჩვენი ნომინაციის გმირმა სრულად გაითავისა. ამჟამად მისი მთავარი საქმე გიდობაა – მეგზურობას უწევს უცხოელ ტურისტებს, აცნობს ლეგენდარული კოლხეთის და იბერიის მემკვიდრე ქვეყნის ბუნებას, ისტორიასა და კულტურას.

„ჩვენ რუსთაველის, ვაჟას, ილიას ხალხი ვართ“ ისინი გვასწავლიდნენ და დღესაც გვასწავლიან გვიყვარდეს სამყარო და ადამიანი, ამის გარეშე არაფერს არა აქვს აზრი! საქართველოს ცისქვეშ ერის 4000 წლიანი ისტორიაა. აი , ეს არის მნიშვნელოვანი , ეს ცოდნა ზურგს მიმაგრებს და სწორედ ასეთი ხედვითაა გამსჭვალული ჩემი ტურები...“ – ამბობს მარიკა.

მარიკას სიტყვებით რომ ვთქვათ, გიდები – „უჩინარი ელჩების“ მისია მეტად მნიშვნელოვანია. საამაყოა იმის უბრალო გაფიქრებაც კი, რომ კარგი გიდის სიტყვა-პასუხითა და ქცევა-საქმიანობით – ერთ წელიწადში საქართველოს მეგობართა რიცხვი რამდენიმე მილიონით იზრდება!

ხშირია ერთი და იმავე ტურისტის მრავალგზის ჩამოსვლის მაგალითები. ეს გარემოება, ცხადია, მხოლოდ არქიტექტურულ-ბოტანიკურ-გეოგრაფიული მრავალფეროვნების ფაქტორით არ აიხსნება. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ეს არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ტრადიცია, ხასიათი, უცხოელისათვის მეტად საინტერესო და სახალისო.

საქართველოს საარაკო ამბების მოყოლა, მარიკას იმდენად კარგად გამოსდის, რომ მისმა სამმა რუსმა, ერთმა უკრაინელმა და ერთმა კორეელმა ტურისტმა მას და მის მეუღლეს, მონათვლა სთხოვეს – ქრისტიანობაში მოქცევა გადაწყვიტეს და ამ გზით დაუნათესავდნენ ჩვენს ქვეყანას.

როდესაც, პანდემიამ მთელი ქვეყანა სახლებში გამოკეტა, მარიკა, მეუღლესთან ერთად, დადიოდა თბილისის ქუჩებში, ტურისტულ მარშრუტებზე, ტელეფონით ხელში და უანგაროდ, თბილისის ონლაინ-ტურებს უტარებდა თანამემამულეებსა და უცხოელებს. ასე ცდილობდა უჩვეულო იზოლაციაში ჩავარდნილი ადამიანების გამხნევებას.

ყოველი ტურისტული სეზონი გიდების კონფერენციით იწყება, რომელსაც მარიკა სილაგაძე უძღვება. კონფერენცია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში იმართება. დასწრება თავისუფალია, ყველას ეძლევა ცოდნა–გამოცდილების გაზიარების საშუალება.

თამარ ფარჩუკიძე

60 წლის, ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე

„იჩქარე აკეთო სიკეთე“ – ეს ბიბლიური შეგონება თამარ ფარჩუკიძის ცხოვრების მრწამსია. ისტორიის დოქტორი, მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე, პოეტი, საავტორო სიმღერების შემსრულებელი ქალბატონი მდიდარი მუსიკალური და პედაგოგიური ტრადიციების ოჯახის წარმომადგენელია. ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებითა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობით თამარი ღირსეულად აგრძელებს მათ გზას.

იგი მიიჩნევს, რომ ისტორია „ცოცხლად“ უნდა ისწავლებოდეს. ერთ-ერთი ასეთი გაკვეთილის დროს კი, როცა ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს, მეტეხის ხიდიდან წამებულთა სულების საოხად, მოწაფეებთან ერთად მტკვარში ყვავილები გადაფინა, ვერც წარმოიდგენდა, რომ დედაქალაქის კიდევ ერთ სახალხო მსვლელობას ჩაუყარა საფუძველი... მას აქეთ ოცი წელი გავიდა. ამ ამბის შესახებ კი მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

თამარის სადისერტაციო კვლევით საქართველოს ისტორიის არაერთ საკითხს მოეფინა ნათელი და მეცნიერებამ „ახალ სიტყვად“ მიიჩნია... მან აღმოაჩინა პეტრიწონის ემბლემა და დაადგინა გელათის ემბლემასთან მისი იდენტობა; დაასკვნა, რომ ქართული აკადემიების უნიკალური სიმბოლოები პირველი საგანმანათლებლო ემბლემებია, რომელთა კონცეფცია და ნიშნები, შემდგომში, საფუძვლად დაედო მსოფლიოს საუნივერსიტეტო სიმბოლიკას;

მოიკვლია ახალი მტკიცებულებანი წინარე რენესანსულ ხანაში იოანე პეტრიწის მოღვაწეობის შესახებ; მიაგნო პეტრიწონის მონასტერთან დაკავშირებულ უცნობ ფაქტებს და როდოპის მთებში არსებულ უძველეს ქართულ რუნულ წარწერას, წარმოადგინა მისი სავარაუდო გაშიფვრა; დაადგინა ბულგარეთში ქართველთა მონასტრის დაარსების წინაისტორია;

იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებული, საქართველოს მეფეთ მეფე დავით IV აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათი (1106) კედლის მხატვრობით, მოზაიკითა და ისტორიულ გმირთა პორტრეტებითაცაა გამორჩეული.

თამარმა დააბუსტა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში გელათის მონასტერთან დაკავშირებული ადგილები; განმარტა და არსებული ელინოფილური და შემდგომ ივრითული განმარტებების ნაცვლად დაადგინა გელათის სახელწოდების ქართული წარმომავლობა; სადღეისოდ არსებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, განამტკიცა იოანე პეტრიწისა და დავით აღმაშენებლის თანადროულობის თავდაპირველად არსებული თვალსაზრისი; ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მოიკვლია დიდგორის ბრძოლაში ფხოველთა მეწინავე რაზმის პირველ რიგში მებრძოლთა გვარი... და სხვა.

თამარს ეკუთვნის საქართველოსა და უცხოეთში გახმაურებული არაერთი აკადემიური ნაშრომი და სამეცნიერო-პოპულარული სტატია. ამჟამად მუშაობს რამდენიმე სამეცნიერო და საზოგადოებრივ პროექტზე. მათ შორისაა: პირველი ევროპული საგანმანათლებლო სიმბოლოების პოპულარიზაცია; იოანე პეტრიწის საზოგადოების აღდგენა; „ქართლის გოგლაობის“ დაფუძვნება; „ქეთევანობა 2024“-ის, – ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის 400-ე წლის აღსანიშნავი პროექტის განხორციელება.

წმიდა ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის აგების ერთ-ერთმა მოთავემ და მონაწილემ, მონასტრის მშენებლობისათვის ხელშეწყობისა და სოფლის სასიკეთო საქმეების განსახორციელებლად, დააარსა საზოგადოებრივი დარბაზი სოფელ მუხრანის უძველესი სახელწოდებით – „შიოს უბანი.“ მისი იდეით შექმნილია ორი მართლმადიდებლური ხატი. არის რამდენიმე წიგნისა და ერთი პოეტური კრებულის ავტორი, ლიტერტურული კონკურსებისა და ფესტივალების გამარჯვებული, საგუნდო და საესტრადო სიმღერების ავტორ-შემსრულებელი.

მაკა ძოწენიძე

63 წლის, გამომცემელი, ლიტერატორი

მაკა ძოწენიძე ოცი წელი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის, მრავალი წიგნის ავტორის, ენციკლოპედია „თბილისის“, შემდეგ ენციკლოპედია „აჭარის“ თანაგამომცემლის ოთარ გაგუას (1927-2021) მხარდამხარ იღვწოდა.

„ეს ოცი წელი – წერს ქალბატონი მაკა – იყო შესანიშნავი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, რამეთუ დიდი ფუფუნებაა ურთიერთობა, გვერდში დგომა ისეთ ადამიანთან, როგორიც გახლდათ ბატონი ოთარი. მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო რამდენიმე წელი მას დააკლდა თვალის ჩინი, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა, სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა თავის სამშობლოს, ხალხს, რომელიც ძლიერ უყვარდა...“

ენციკლოპედია „თბილისის“ კვალდაკვალ, ენციკლოპედია „აჭარის“ გამოცემის იდეას და ამ დიდი საქმის თავკაცად ოთარ გაგუას არჩევას მოჰყვა განუყრელ მეუღლეთა საგამომცემლო თაოსნობანი და დაფუძნება ბათუმში. ამასთან ერთად ბოტანიკურ ბაღში გაიხსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სალონ-მუზეუმი „მზიანი ღამე“. აღიმართა ქვის ჯვარი. ბატონი ოთარის დაუღალავი შრომითა და ქალბატონ მაკას შეუპოვარი თანადგომით გაცოცხლდა არაერთი ღვაწლმოსილი პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობა. შეიქმნა შესანიშნავი წიგნი „იასონ გორდეზიანი“, ხოლო ბათუმის ბულვარში დაიდგა მისი ბრინჯაოს ქანდაკება. ამ მოვლენებმა ახლებურად წარმოაჩინა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებისა და განაშენიანების ისტორია.

ოთარ გაგუას მიმართ ყველა პატივისცემითა და სიყვარულით იყო განწყობილი, ვინაიდან ახსოვდათ მრავალმხრივი მოღვაწეობა და სამაგიდო წიგნები, რომლებიც ასობით ახალგაზრდისათვის დიდი სპორტის გზამკვლევად ქცეულა: „ბორის პაიჭაძე“, „გრიგოლ გაგუა“, „გაიოზ ჯეჯელავა“, „ჩემი მეგობარი ფეხბურთი“, „თბილისის ღრმად მოხუცებული ადამიანები“...

ამჟამად ქალბატონი მაკა თანამოაზრე ადამიანებთან ერთად უძღვება ძვირფას მეუღლესთან ერთად დაწყებულ საქმეებს, უფრთხილდება მის არქივს, ბიბლიოთეკას, უნიკალურ ექსპონატებს, რომლებიც მათთან იყრიდა თავს. როგორც საენციკლოპედიო (ენციკლოპედია „აჭარისათვის“ განკუთვნილი) და სამუზეუმო (მუზეუმ „მზიანი ღამისათვის“ განკუთვნილი) მასალა თუ რელიკვია.

ლიდა (ლილი) ჯანგველაძე

85 წლის, ბიბლიოთეკათმცოდნე, პოეტი

ლიდა ჯანგველაძე ხუთი ათეული წელი არჩეული სპეციალობით მუშაობდა. იყო მშობლიურ აფხაზეთში სოფლის ბიბლიოთეკის გამგე, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და აგრარული უნივერსიტეტის მთავარი ბიბლიოთეკარი, საქართველოს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკის დირექტორი. არის საქართველოს რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდების, კათოლიკოს-პატრიარქის პატივდების სიგელის და სხვა საპატიო ჯილდოთა მფლობელი, 4 პოეტური კრებულისა და მრავალი სამეცნიერო მეთოდური შრომის ავტორი.

იგი სრული 28 წელიწადი იკვლევდა მეაბრეშუმეობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდს, რომელიც მსოფლიოში ერთადერთია, უნიკალურია, ხუთი საუკუნის ისტორია აქვს და 26 ენოვან ლიტერატურას მოიცავს. ეს ამბავი უფრო დაწვრილებით მოთხრობილია ნაშრომში, რომელიც გამოაქვეყნა სამეცნიერო-პოპულარულ და მეთოდურ ჟურნალში „საქართველოს ბიბლიოთეკარი,“ 2002, №3).

რაც შეეხება პოეზიას. მისი ლექსების მთავარი თემაა ღმერთი, სამშობლო, მეგობრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ აფხაზეთში, ხოლო ამჟამად სხვადასხვა მხარეში არიან მიმობნეული.

ასეთი განწყობით ახალ კუმისში (გარდაბანი) შეიძინა სახლი, ხოლო დის – მარიამის თანხით – სახლის მეზობლად არსებული მიწის ნაკვეთი. ასე დაიბადა ამ მიწის საპატრიარქოსათვის გადაცემისა და ღვთის ნებით ეკლესიის აშენების სურვილი. შემდეგ იყო დედა ნინო გრიგალაძის დახმარება, მარტყოფისა და გარდაბნის ეპისკოპოსის, მეუფე იაკობის, კურთხევით საპატრიარქოს არქიტექტორ რეზო ჯანაშიას მიერ ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის პროექტის შექმნა, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის წინამძღვრის დეკანოზ გიორგისაგან მიწის კურთხევა და ჯვრის აღმართვა, რომელსაც ესწრებოდა თითქმის მთელი სოფელი.

ასე კარგად დაწყებულ საქმეს უცებ გამოუჩნდა მტერი. დაიწყო სოფელ ახალი კუმისის ნგრევა – შეწყდა წყალი, გაფუჭდა გზა, აღარ დადის ავტობუსი, გაუქმდა სადახლოსკენ მიმავალი მატარებელი, გაუსაძლისი გახდა სოფელში ცხოვრება, გაიქურდა სახლები, ეზოები, ცარიელდება სოფელი... ჩვენი ბიბლიოთეკათმცოდნე და პოეტი, მაინც არ ყრის ფარხმალს. საქმის ბოლომდე მისაყვანად დააფუძნა ა(ა)იპ „ნაპერწკალი“ და ლიბერთი ბანკში გახსნა ანგარიში.

მეგობრებო, შევეწიოთ სოფელ ახალი კუმისის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობას! ვინც ჩარიცხავს თანხას, ყველას სახელი და გვარი ჩაიწერება ტაძრის დავთარში (თანხის რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა) და შემომწირველი მოიხსენიება ლოცვებში, როგორც ტაძრის აღმშენებელი. ლიბერთი ბანკში ა(ა)იპ „ნაპერწკალის“ ანგარიშის ნომერია: GE23LB0115111440910000 ლიდა (ლილი) ჯანგველაძე, ტელეფონი 558 677 584. უფალმა შეგიწიროთ, სიკეთე და სიხარული არ მოგაკლოთ!

გვანჯი მანია,
მხატვარი ალ. ციხელაშვილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №66, 71, 86

ბიჭვინთის ცნობილი სახელმწიფო აგარაკის და მის გარშემო 186 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მფლობელი რუსეთის ფედერაცია ხდება. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტში მოსკოვთან შეთანხმების ტექსტი უკვე გადაგზავნილია.

უკრაინაში ომის ფონზე „მხოლოდ რუსული სამხედრო-პოლიტიკური „ქოლგა“ არის ჩვენი მოქალაქეების მშვიდობისა და სიმშვიდის გარანტი“, — ასე ხსნის გადაწყვეტილებას დე ფაქტო მთავრობა. ოპოზიცია სახალხო პროტესტის დაწყებაზე საუბრობს.

რას ითვალისწინებს „ბიჭვინთის აგარაკის“ შეთანხმება?

შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო აგარაკის ყველა შენობა-ნაგებობა რუსეთის ფედერალური დაცვის სამსახურის საკუთრება ხდება, ხოლო მიმდებარე მიწები რუსეთს 49-წლიანი იჯარით გადაეცემა.

186 ჰექტარი დაახლოებით 300 საფეხბურთო მოედანია.

ძველი და ახალი ხელშეკრულება - რას აპროტესტებენ ახლა?

2022 წლის 19 იანვრის შეთანხმების გარდა არსებობს 1995 წელს სოხუმსა და მოსკოვს შორის დადებული ხელშეკრულება ბიჭვინთის აგარაკისა და მიმდებარე ამ ტერიტორიის შეუზღუდავი და უფასო იჯარით გადაცემის შესახებ, რომელიც აფხაზეთის პირველი დე ფაქტო პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას მმართველობის დროს გაფორმდა.

1995 წლის ხელშეკრულებით, კომპლექსი რუსეთს უვადო სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული, მაგრამ აფხაზეთის საკუთრებად რჩებოდა. ახალი ხელშეკრულების პროექტში საკუთრების გადაცემაზეა საუბარი.

ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის იდეა პირველად 12 წლის წინ გაჩნდა. მაშინ აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვის გამო ეს თემა დღის წესრიგიდან გაქრა.

რა ღირებულება აქვს ბიჭვინთის აგარაკს?

ბიჭვინთა გაგრის რაიონის ზღვისპირა კურორტია აფხაზეთში საუკეთესო ქვიშიანი პლაჟით, თბილი ზამთრით, ზომიერად ცხელი ზაფხულით, მშვიდი ზღვით და ბიჭვინთის კონცხზე რელიქტური ფიჭვის კორომებით. დიდი საკურორტო კომპლექსი აქ ჯერ კიდევ 1959-1967 წლებში შეიქმნა.

ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკს, საბჭოთა კავშირის ლიდერების საზაფხულო რეზიდენციას, რუსეთის ფედერაცია სხვადასხვა შეხვედრისა და ღონისძიებისთვის 1995 წლიდან იყენებს. 2017 წლის აგვისტოში, ამ აგარაკზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი იმყოფებოდა. აქ ისვენებდა საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი 1964 წლის შემოდგომაზე, როდესაც შეატყობინეს, რომ ის ცკ-ის პირველი მდივანი აღარ იყო. 1974 წელს, საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი ლიდერი ლეონიდ ბრეჟნევი საფრანგეთის პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს აქ შეხვდა.

„თუ ამ ობიექტს საკუთრებაში გადავცემთ, მაშინ მომავალში მისი განკარგვა ჩვენ გარეშე შეეძლებათ. და ის, რომ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ეს (განკარგვა) „აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით“ ხდება, ჩვენს სამოქალაქო კოდექსს ეწინააღმდეგება, რადგან კერძო საკუთრება არის კერძო საკუთრება“, — უთხრა „ეხო კავკაზას“ ოპოზიციური „აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“ ლიდერმა ადგურ არძინბამ.

„ეთნოსისა და სახელმწიფოს“ დაცვის სახელით

„რუსეთი იარსებებს ამ აგარაკის გარეშე, მაგრამ ვიარსებებთ თუ არა ჩვენ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, ესაა საკითხავი“, — თქვა 20 ივლისს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ.

„რა ალტერნატივა გვაქვს? გვყავს თუ არა ისეთი მეზობლები, რომლებიც იმავენაირად დაგვეხმარებიან? სხვა მეზობელთან ომის მდგომარეობაში ვართ, როგორ შეიძლება ამის დავიწყება? ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეს ან არ ესმის, ან თავს იტყუებენ, თითქოს დასავლეთი დაინტერესებულია, დაგვეხმაროს. ეს არ არის სიმართლე. ვინმეს დახმარება რომ ნდომოდა, გვაღიარებდნენ. და იქნებოდა თუ არა აღიარებული ჩვენი ქვეყანა, დიდ რუსეთს რომ არ გადაედგა პირველი ნაბიჯი?“, — უთხრა ბჟანიამ ტყვარჩელის მოსახლეობას.

21 ივლისს გულრიფშის რაიონის კულტურის სახლში ბიჭვინთის აგარაკის გასხვისებაზე შეხვედრისას ისე დაიძაბა ვითარება, რომ ბჟანიას დარბაზის დატოვებაც მოუწია.

„თუ ყველა არგუმენტის, საზოგადოებაში არსებული მთელი აღშფოთების მიუხედავად, პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას მაინც მიიღებს, დეპუტატები, რომლებიც ამ პროექტს მისცემენ ხმას, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გაიზიარებენ პასუხისმგებლობას და ამაზე რეაქცია იქნება უკიდურესად უარყოფითი. ხოლო მეშვიდე მოწვევის პარლამენტის ლეგიტიმაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ლეგიტიმაციასთან ერთად შემცირდება“, — ამბობს „აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“ ლიდერი ადგურ არძინბა.

ბიჭვინთის გარშემო კამათისას აფხაზურ საზოგადოებაში უკვე გაჩნდა რეფერენდუმის ჩატარების იდეა კითხვით: „ენდობა თუ არა ხალხი დღევანდელ პარლამენტს?“

„ახლა ამაზე საუბარი არ მინდა, ეს ყველა ჩვენგანისთვის ცუდი სცენარია“, — ამბობს არძინბა.

აფხაზური კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, მიწა არის აფხაზეთის მოსახლეობის საკუთრება და ის არ შეიძლება გაიყიდოს უცხოელზე.

„როგორც ჩანს, ეს მოსკოვში დღევანდელი ხელისუფლების გარკვეული დაპირებების შედეგია და დღეს ამ დაპირებების იურიდიულად გაფორმების საკითხი დადგა. მაგრამ, არის აფხაზეთის რესპუბლიკის კანონები, არსებობს კონსტიტუცია და არავის აქვს უფლება, დაარღვიოს არც კანონები და არც კონსტიტუცია, ეს სისხლის სამართლით დასჯადი ქმედებაა“, — უთხრა „ეხო კავკაზას“ ოპოზიციური პარტია „აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმის“ ლიდერმა, ასლან ბარციცმა.

სოხუმში რუსეთის მფლობელობაშია „რუსეთის საელჩო“ და „მოსკოვის სახლი“. ამ საკუთრებაში არსებული მიწები საიჯარო ურთიერთობების საფუძველზე გამოიყენება.

ბიჭვინთის ტერიტორიებისა და სახელმწიფო აგარაკების რუსეთისთვის გადაცემას დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი შამბა „ეთნოსისა და სახელმწიფოს“ დაცვის მოტივით ამართლებს. ის ამბობს, რომ ბიჭვინთის პარკი რუსეთს მადლიერების ნიშნად უნდა გადაეცეს. „მზარდი გეოპოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური რისკების“ ფონზე ეს შეთანხმება აფხაზეთისთვის უსაფრთხოების გარანტიაა“, — ხსნის გადაწყვეტილებას დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი.

„სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია ამ ამოცანასთან შედარებით... უკრაინის ირგვლივ პოლიტიკური დაპირისპირება მარტივად შეიძლება ჩვენს რეგიონშიც გადმოვიდეს. სავსებით აშკარაა, რომ აფხაზეთს შეუძლია ამ ვითარებაში გადარჩენა მხოლოდ სხვა, უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან ალიანსით. ჯერჯერობით, ასეთი სახელმწიფო მხოლოდ რუსეთის ფედერაციაა. და მხოლოდ რუსული სამხედრო-პოლიტიკური „ქოლგა“ არის ჩვენი მოქალაქეების მშვიდობისა და სიმშვიდის გარანტი“, — აცხადებს შამბა.

შამბა განმარტავს, რომ აფხაზეთში ისეთი დაწესებულების არსებობა, სადაც რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები ისვენებენ, ნებისმიერ აგრესორს მათ წინააღმდეგ ავანტიურული ქმედებებისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს.

„ნაკლებად სავარაუდოა, რომ არსებობდნენ ისეთი გიჟები, რომლებიც მზად იქნებიან ჰაერში საბრძოლო თვითმფრინავები ააფრინონ იმ სიტუაციაში, როდესაც რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკზე ისვენებს. ეს ჩაითვლება აგრესიის აქტად არა მარტო აფხაზეთის, არამედ რუსეთის წინააღმდეგაც. რაც შეეხება საკუთრებისა და სუვერენიტეტის საკითხებს, ამ ობიექტის საკუთრებაში გადაცემა მიწის სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ გასხვისებას არ ითვალისწინებს“, — ამბობს შამბა.

აფხაზეთში მიწების გასხვისება მტკივნეული საკითხია. მიმდინარე თვეს საზოგადოების მღელვარება მოჰყვა გერმანული კომპანიის FVT–Group & Partner-ის შეთავაზებასაც, რომელიც აფხაზეთში ქალაქური ტიპის დასახლების ან 10-12-ათასკაციანი “მცირე საკურორტო ქალაქის“ აშენებას ითვალისწინებდა.

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია რუსეთის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ალექსანდრ ტკაჩევის 2021 წლის 27 დეკემბრის განცხადებამაც. მან თქვა, რომ ბიჭვინთაში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო და საცხოვრებელი ბინების კომპლექსი „მოსკოვი რიზორთი“ აშენდება. პროექტში დაახლოებით 20 მილიარდი რუბლის ინვესტიციაა ჩადებული. „მოსკოვი რიზორთი“ იქნება 700-საწოლიანი სასტუმრო, ხოლო მიმდებარედ აშენდება ათასსაწოლიანი აპარტამენტები.

რას ამბობენ თბილისში?

ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკების რუსეთისთვის გადაცემაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება არც დამოუკიდებლად გაუკეთებია და არც რადიო თავისუფლების მიმართვის შემდეგ. **„საკითხს მოვიკვლევთ და დაგიკავშირდებით“,** — ასეთი იყო საგარეო უწყების პასუხი.

„წინა დე ფაქტო ხელისუფლებები საკითხის გაჭიანურებას (ბიჭვინთის აგარაკებისა და მიწის გადაცემას) რაღაცნაირად ახერხებდნენ, მაგრამ თემა დამოკლეს მახვილივით ეკიდა აფხაზურ საზოგადოებაზე. ვფიქრობ, ამის იმპლემენტაცია ძალიან გაჭიანურდებოდა, რომ არა თუნდაც უკრაინის ფონი“, — მიაჩნია კონფლიქტოლოგ გიორგი კანაშვილს.

კანაშვილი ამბობს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების სუსტი პოზიციების გამო სოხუმი რუსეთთან დათმობებზე წავიდა და ფიქრობს, რომ შემდეგი დათმობები ენერგეტიკის, მიწის საკუთრებისა და უცხოური ინვესტიციების მიმართულებითაც იყოს.

„იურიდიული კუთხით რომ შევხედოთ, (რუსეთის) ყველანაირი ქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე, „ბათილად იქნება ცნობილი, არაკანონიერია და არანაირ ძალას არ ატარებს, მაგრამ ფაქტია, რომ შექმნილი ვითარების ფონზე რუსეთი მინიმალურ პოლიტიკურ ფასად ჩაიგდებს ამ ტერიტორიას ხელში“, — ამბობს გიორგი კანაშვილი

„ამ ვითარებაში რა უნდა გააკეთოს (საქართველოს) ხელისუფლებამ? ყველაზე მინიმუმი არის განცხადება და დაგმობა ამ ანექსიის შემდგარი ფაქტისა და მოწოდება პარტნიორებისთვის, შეაფასონ ანექსიის ფაქტი. მივმართავ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მათ შორის წერილითაც, რომ რეაგირება მოახდინონ“, — ეუბნება „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი დეპუტატი თეონა აქუბარდია რადიო თავისუფლებას.

ლანა კოკაია

კრემლის არამეგობარი ქვეყნები

რუსეთის მთავრობამ გააფართოვა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც, კრემლის მტკიცებით, რუსეთის სახელმწიფოს, რუსული კომპანიებისა და მოქალაქეების წინააღმდეგ „არამეგობრულ ქმედებებს“ სჩადიან.

მთავრობის გადაწყვეტილებით, „არამეგობრულ ქვეყანათა“ რიცხვს დაემატა — ბაჰამის კუნძულები და ბრიტანეთის სამეფო გვირგვინის მიწები — კუნძულები გერნსი და მენი. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, კუნძულები გერნსი და მენი შეტანილია „არამეგობრულ ქვეყანათა“ ნუსხაში, რადგან მათ მხარი დაუჭირეს ბრიტანეთის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ბაჰამის კუნძულები რუსეთის ბანკებთან, რუსეთის ფინანსთა სამინისტროსა და რუსეთის საკრედიტო ორგანიზაციებთან ნებისმიერი ტრანზაქციის აკრძალვის გამო.

ბოლოს რუსეთის მთავრობამ „არამეგობრული ქვეყნების“ სია 22 ივლისს გააფართოვა და მასში საბერძნეთი, დანია, სლოვენია, ხორვატია და სლოვაკეთი შეიყვანა.

იჩქერიის მომხრეებმა კადიროვის რეჟიმს ჯიჰადი გამოუცხადეს

ჩეჩნეთის **რესპუბლიკა იჩქერიის მხარდამჭერებმა ჯიჰადი გამოუცხადეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის კრემლის მიერ ხელდასხმულ ლიდერ რამზან კადიროვს და მის რეჟიმს,** — ამის შესახებ საუბარია სოციალური ქსელებით გავრცელებულ ვიდეოში. ერთი დღით ადრე რესპუბლიკის მოსახლეობაში იატაკქვეშა მოძრაობის მზადების შესახებ გამოაცხადეს იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის შვილმა ანზორ მასხადოვმა და ჩეჩნეთის ბატალიონის სპიკერმა შეიხ მანსურმა, რომელიც იბრძვის უკრაინის მხარეს.

მათი თქმით, მზადების მიზანია „იჩქერიის დეოკუპაცია და დამოუკიდებლობა“.

ინტერნეტში გამოქვეყნებულ ვიდეოში ორი ნიღბიანი პირი წვავს ჩეჩნეთის დროშას. ისინი აცხადებენ, რომ ჯიჰადის გამოცხადების მომენტიდან რესპუბლიკაში დაიწყება მოძრაობა, ხოლო პროცესის მომხრეები, მათ შორის, ჩეჩნეთის მეთაურის შიდა წრეშიც არიან.

„ომში თავისი საიდუმლოებებია, მათი გაცემა არ შეიძლება. რაც ბელოკიევმა თქვა, მეტს ვერ ვიტყვი, უფლება არ მაქვს. დიახ, ჩვენ ერთმანეთთან კომუნიკაცია და კონსულტაციები გვაქვს და ვიცით, რომ მძლავრი მუშაობა მიმდინარეობს მოსახლეობასთან“.

ეს ინფორმაცია Кавказ.Реалии-ს დაუდასტურა ბატალიონის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ბოგდან ჩეჩენსკიმ. მისი თქმით, იჩქერიის მხარდამჭერები მუშაობენ არა მხოლოდ ჩეჩნეთში, არამედ ევროპაში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლებთან:

„რუსეთის მიერ ოკუპირებული იჩქერიის დეოკუპაციის პრობლემის გადასაჭრელად რამდენიმე ეტაპის გავლას ვაპირებთ, მათგან სამ ფუნდამენტურს გეტყვით: ჩეჩენი ხალხის მომზადება მოსალოდნელი ცვლილებებისთვის, ჩეჩნეთის განმათავისუფლებელი არმიის შექმნა, რომელიც კარგად არის შეიარაღებული და გაწვრთნილი თანამედროვე ომის მეთოდებში“.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსახლეობის მომზადება უკვე დასრულებულია, ხოლო ჯარის ფორმირება დასასრულს უახლოვდება. უცნობია იჩქერიის მომხრეების კონკრეტული გეგმების შესახებ, მაგრამ ბოგდან ჩეჩენსკი უარყოფს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაციის შესაძლებლობას.

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ სწორედ ამ წუთში თავჩაქინდრული შევვარდებით იჩქერიაში და მესამედ დავაყენებთ ჩვენს ხალხს ომის საშინელების წინაშე, რაც მათ ორჯერ უკვე განიცადეს, ცდება. ჩვენი ყველა ნაბიჯი იქნება გაწონასწორებული, პოლიტიკურად მოტივირებული და მიზანშეწონილი“.

რამდენიმე დღით ადრე, ისლამ ბელოკიევმა, YouTube არხის „ისლამის აზრების“ ავტორმა და შეიხ მანსურის ბატალიონის სპიკერმა, აჩვენა რუკა, რომელზეც ჩეჩნეთი იყოფა სამ ფრონტად (ჩრდილოეთი, ცენტრალური, სამხრეთი) და 16 სექტორად — ბელოკიევის თქმით, თითოეულ ამ სექტორში დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩეჩნეთის უსაფრთხოების ძალების, მათი განლაგებისა და იარაღის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. არხ „ბელსატის“ ეთერში ეს დაადასტურა იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის შვილმა ანზორ მასხადოვმა:

რუსმა დეპუტატმა აღიარა, რომ რუსეთი თავს დაესხა ოდესას

რუსმა პროსამთავრობო ჟურნალისტმა და სახელმწიფო დუმის დეპუტატმა აღიარა, რომ ოდესის პორტზე თავდასხმა რუსეთმა განახორციელა. პოპოვმა განაცხადა, რომ რუსული დარტყმის სამიზნე იყო სარაკეტო სისტემები, რომლებიც მისი მტკიცებით, ოდესის პორტში იყო განთავსებული.

მანამდე ოდესის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თავდასხმის შედეგად არიან დაშავებულები, თუმცა მათ რაოდენობას არ ასახელებდნენ.

„ჩვენ არ დაგვირღვევია სტამბოლის შეთანხმება (უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტზე). ჩვენ უბრალოდ გავანადგურეთ უკრაინის სამხედრო ინფრასტრუქტურა — და ამას ისევ გავაკეთებთ“, — განაცხადა პოპოვმა.

ევგენი პოპოვის აღიარებამდე რამდენიმე საათით ადრე, თურქეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთის ოფიციალური პირებმა უარყვეს **„ოდესის პორტის თავდასხმასთან რაიმე სახის კავშირში ყოფნა“.**

შეგახსენებთ, უკრაინული მარცვლეულის ექსპორტისა და პორტების განბლოკვის შესახებ შეთანხმებიდან რამდენიმე საათში, რუსეთის ძალებმა ოდესის პორტზე სარაკეტო იერიში მიიტანა. დაბომბვიდან მალევე გავრცელდა ცნობა, სარაკეტო თავდასხმას არ დაუზიანებია პორტში მდებარე მარცვლეულის შესანახი საცავები. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთის იერიში ოდესის პორტის წინააღმდეგ ეს არის გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტერეშისა და თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანისთვის სახეში შეფურთხება, რომლებმაც უდიდესი ძალისხმევა გასწიეს, რომ უკრაინული მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებისთვის მიეღწიათ. სტამბოლში უკრაინული მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმებას თურქეთმა, უკრაინამ და რუსეთმა ხელი 22 ივლისს მოაწერეს.

სადამდე გაშლით ფეხს და საბანს...

(მეექვსე გვერდიდან)

თუ **საკუთარი ავტომობილი** გყავთ, თბილისი-ბათუმი თბილისი დაახლოებით 200-250 ლარის ბენზინი მაინც უნდა გაითვალისწინოთ.

ბათუმში ბინების ფასი **ღამეში 35 დოლარიდან იწყება და 100 დოლარს სცდება. ყველაზე უფრო გავრცელებული ფასები ბინებზე ღამეში 50-80 დოლარია. ანუ ყველაზე მეტ ბინას სწორედ ამ ფასად იშოვით.**

წელს ბათუმში ერთი **შეზლონგის** დაქირავება 5 ლარი დაგიჯდებათ, მაგრამ თუ მაინც და მაინც, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს, „შერატონის“ გასწვრივ გაშლილ პლაჟზე გადაწყვეტთ შეზლონგზე წამოწოლას, მაშინ შეზლონგში 10 ლარი უნდა გადაიხადოთ. მოკლედ, ათლარიან შეზლონგს რომ დავანებოთ თავი, სამმა ზრდასრულმა ადამიანმა დღეში ერთხელ სამი შეზლონგი რომ იქირაოს, 15 ლარი უნდა გადაიხადოს.

პლაჟზე ჭიქა **ყავა**, „ამერიკანო“ — ერთობ ძვირი, 7 ლარი ღირს.

რა არის ზღვა და ბათუმი **აჭარული ხაჭაპურის** გარეშე. წელს ისევე როგორც ყველაფრის ფასმა, რაღა თქმა უნდა, მოიმატა აჭარული ხაჭაპურის ფასმაც. სტანდარტულ აჭარულ ხაჭაპურს ძირითადად 14,50 ლარად შეიძენთ. დიდ აჭარულს — 17,50-ად. თუმცა, არის სახაჭაპურეები, სადაც აჭარულ ხაჭაპურში 20 ლარის გადახდაც მოგიწევთ. შარშანდელთან შედარებით, ბათუმში აჭარული ხაჭაპურის ფასი დაახლოებით 3-4 ლარითაა გაზრდილი. წელს, ბათუმში, საკვებ ობიექტში სადილობა სამ ადამიანს მინიმუმ 50 ლარი დაუჯდება.

ვერც **ველოსიპედით სეირნობა** დაგიჯდებათ წელს იაფი ბათუმის ბულვარში. ველოსიპედის ერთი საათით დაქირავება, ზრდასრულს 10 ლარი, ხოლო ბავშვს 5 ლარი დაუჯდება. წინა წლებთან შედარებით, ველოსიპედის გასაქირავებელი ფასები გაორმაგებულია. თუკი ქალაქში **ტაქსითაც** მოგიწევთ გადაადგილება, როგორც ბათუმელები ამბობენ, ადგილობრივებს ეს დაახლოებით 5-10 ლარი უჯდება. ტურისტებს ორჯერ მეტი.

მთის კურორტები - ბაკურიანი, ბორჯომი, ყაზბეგი...

„ჰაერის გამოცვლის“ მოტივით, განსაკუთრებით ოჯახები, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ხშირად უპირატესობას მთის კურორტებს ანიჭებენ. თან მინიმუმ, ორი კვირით მაინც. ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი კურორტი, მათ შორის, ზაფხულშიც, ბაკურიანია.

წელს **ბაკურიანში ოთხსულიან ოჯახს** ორი კვირით, ანუ 13 ღამით დაბინავება, სულ მინიმუმ 700 ლარი დაუჯდება. ოღონდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ერთი შვილი მშობლებმა უნდა დაიწვინონ საწოლში. მეორე — გასაშლელ სავარძელში და ცხადია, საკვებზეც თავად უნდა იზრუნონ.

თუმცა, მაგალითად, 1325 ლარიც რომ გადაიხადოთ, ამ ფასიან ბინაშიც იგივე განლაგებით მოგიწევთ დაძინება, უბრალოდ, შესაძლოა, ბინის რემონტის ხარისხი იყოს უფრო გაუმჯობესებული. ბაკურიანში 13 ღამის გასატარებლად ყველაზე მეტ ბინას დაახლოებით 1200 -1600 ლარად იშოვით. თუკი უფრო მეტის გადახდის უფლებას მისცემთ თავს, შეგიძლიათ ნახოთ ბინები 2500-დან 4000 ლარამდე — ანუ, მხოლოდ ღამის გასათენებელი, კვების გარეშე.

ამდენივე ღამის სასტუმროებში გატარება საუზმის ჩათვლით, დაახლოებით 4000-დან 6000 ლარამდე დაჯდება.

რაც შეეხება სასტუმროს სამჯერადი კვებით, მაგალითად, ბაკურიანის შემოგარენში, 14 დღითა და 13 ღამით, 18 000 ლარადაც იპოვით.

დაახლოებით იგივე ფასად, 800-1400 ლარად იქირავებს ოთხსულიანი ოჯახი 13 ღამით ბინას ბორჯომში. სასტუმროს საუზმის ჩათვლით კი 4000 ლარიდან.

ბინების პოვნა გაგიჭირდებათ ყაზბეგში. თუმცა, შეგიძლიათ ნახოთ, ე.წ. გესთ ჰაუზები, რომლის ფასებიც ბაკურიანისა და ბორჯომისგან განსხვავებით, უფრო მაღალია. ოთხსულიან ოჯახს 13 ღამით ყაზბეგში, გესთ ჰაუზში დასვენება, სადაც კვება არ არის გათვალისწინებული, მინიმუმ 2500 ლარიდან დაუჯდება.

რაც შეეხება **სასტუმროებს საუზმისა და ცხენით სეირნობის ჩათვლით,** მათი ფასები 5000 ლარიდან იწყება და 10 ათასს სცდება. გააჩნია, რამდენ ვარსკვლავს ამოითვლით სასტუმროს შესასვლელის დაფაზე.

პარაპლანით ფრენასაც **თუ გადწყვეტთ, მაშინ ერთი კაცზე 300 ლარის გადახდა მოგიწევთ. მოხევურ ხინკალსაც** თუ გინდათ გაუსინჯოთ გემო, ერთი ცალი მოხევური ხინკლისთვის 1,50 ლარი უნდა გაითვალისწინოთ.

თბილისთან ახლოს გასეირნება - დასვენება

თუკი „ჰაერის ფუნდამენტური გამოცვლა“ არ შედის თქვენს გეგმებში და ზღვაც ძალიან შორ სიამოვნებად გეჩვენებათ, თბილისთან შედარებით ახლოსაც შეიძლება მისცეთ საკუთარ თავს „განიავების“ შესაძლებლობა, თუმცა, იაფიაო, ცხადია, ვერც ამ „განიავებაზე“ იტყვით.

ამ სეზონზე, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოსანახულებელი ადგილი, თბილისთან მეტ-ნაკლებად ახლოს, დაახლოებით 90 კილომეტრში, წალკაში, დაშბაშის კანიონია.

დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელი სტანდარტული ბილეთის ფასი ერთ კაცზე 29 ლარი დაგიჯდებათ. თუკი ბაიკლაინით გასეირნებასაც გადაწყვეტთ, მაშინ პლიუს 120 ლარიც უნდა გადაიხადოთ. და თუკი საკუთარ თავს უფლებას მისცემთ და კანიონის ტერიტორიაზე აშენებულ კოტეჯში გაათენებთ ღამეს, მაშინ ამისთვის 150 დოლარიც უნდა გაითვალისწინოთ. კარგი ისაა, რომ ეს კოტეჯი ხუთ ადამიანზეა გათვლილი, თუმცა, ამ ფასში კვება არ შედის.

თუ ფული არ გაქვს...

და ბოლოს, თუკი დასვენებისთვის, მაინც და მაინც, აგურითა თუ ბლოკით ნაშენი კედლები არ გჭირდებათ და მზად ხართ, რომ ოჯახთან ერთად თუნდაც რამდენიმე ღამე კარავში, სუფთა ჰაერზე გაათენოთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, საკენპინგე ადგილების არც თუ მცირე არჩევანია. მაგალითად, ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. ერთ-ერთი საუკეთესო საკემპინგე ადგილად ითვლება ბატეთის ტბა. ცხვარიჭამია და საბადურის ტყე.

ამ შემთხვევაში, გაითვალისწინეთ, რომ თუ კარვები ჯერ არ გიყიდიათ, მათი ფასები 150 ლარიდან 650 ლარამდე მერყეობს. დაახლოებით 150-დან 250 ლარამდე ღირს საძილე ტომრები.

ამ ყველაფრის დადებითი მხარე კი ისაა, რომ ერთხელ შეძენილი კარავი და საძილე ტომარა, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გიერთგულებთ.

ნინო თარხნიშვილი,
რადიო თავისუფლების
თბილისის ბიუროს ჟურნალისტი.

◎ წასული ბევრი გვინახავს...

იქნებ სააქციო საზოგადოება?..

„დინამო თბილისის“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ კლუბის გასხვისების გადაწყვეტილება მიიღო. კლუბის ვებ-გვერდმა მისი განცხადება გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„მოგესალმებით. „დინამო თბილისის“ გასხვისების შესახებ ბოლო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ დავფიქრებულვარ და ამ გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული ვარ. ეს კლუბი, მისი შეძენის პირველივე წუთიდან ჩემთვის ძვირფასი და მთავარი ზრუნვის ობიექტია. სწორედ „დინამო თბილისის“ საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მჯერა, რომ ეს გადაწყვეტილება კლუბის განვითარებისთვის აუცილებელია.

გულშემატკივრის, მედიის, ვეტერანი ფეხბურთელებისა თუ სხვა ჯგუფების მხრიდან „დინამო თბილისის“ მიმართ ინტერესიც, სიყვარულიც, კრიტიკაც და მოლოდინიც ყოველთვის განსაკუთრებულია, დღევანდელი მოცემულობით კი იმ მიზნების მისაღწევად, რაც „დინამო თბილისს“, მის ისტორიას და გულშემატკივარს შეეფერება, ამ ეტაპზე, ჩემი პირადი ფინანსური რესურსი კლუბის სამართავად არასაკმარისად მიმაჩნია.

მიუხედავად ბევრი იმედგაცრუებისა, რომელიც „დინამო თბილისის“ გულშემატკივარმა სხვადასხვა პერიოდში იგემა, პირადი ინტერესი კლუბის ინტერესზე წინ არასდროს დამიყენებია და ვფიქრობ ეს ნაბიჯიც ამ სიტყვების კიდევ ერთი დასტურია.

ამჟამად მოლაპარაკების პროცესში ვარ ინვესტორებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან „დინამო თბილისის“ შეძენით ან კლუბში შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებით. ამასთანავე, მინდა ქართული რეალობისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილების შესახებ გამცნოთ – გასხვისების პარალელურად მზად ვარ განვიხილო „დინამო თბილისის“ სააქციო საზოგადოების ფორმით მართვა, სადაც კლუბის აქტივების მფლობელები იქნებიან დაინტერესებული ადამიანები სხვადასხვა ბიზნეს თუ სოციალური წრეებიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა კი თბილისელების ჩართულობას ექნება, ვინაიდან „დინამო თბილისი“ იყო, არის და იქნება დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო და მისი თილისმა.

დეტალურად, ამ გადაწყვეტილებისა და სხვა საკითხების შესახებ, გულშემატკივარი და ყველა დაინტერესებული მხარე, დამატებით ინფორმაციას უახლოეს მომავალში მიიღებს“ – ვკითხულობთ რომან ფიფიას განცხადებაში.

◎ „სერია – ა“

ნამდვილი ოსტატი

პოპულარული „ლა გაძეტა დელო სპორტი“ რომ „ნაპოლის“ წინასასეზონო შეკრებაზე ხვიჩა კვარაცხელიაზე დასაკვირვებლად ჟურნალისტს მიავლენს, დაგვეთანხმებით, არაა რიგითი ამბავი. მართალია, ჩვენში ზოგ-ზოგიერთებს უკვე გულზე ეკალივით ესობა 21 წლის უნიჭიერესი ქართველი ლეგიონერის წარმატებული დებიუტი იტალიურ გრანდში, მაგრამ თანამემამულეთაგან გამორჩეულ თვისტომზე ბოღმის ნთხევას ხომ, სამწუხაროდ, მიჩვეულნი ვართ. უპირველესად, სწორედ ასეთი შურიანი კონტინგენტისთვისაა განკუთვნილი ჩვენი აპენინელი კოლეგის მაურიციო ნიჩიტას მონოლოგის სტრიქონები „სპორტ ექსპრესიდან“, რომელშიც იმ შთაბეჭდილებებზე საუბრობს, მასზე კლუბის კავკასიელმა ახალწვეულმა რომ მოახდინა:

„სიმარტივისთვის, უკვე შევკვეცეთ მისი გვარი – „კვარა“, თუმცა, მომავალი სპექტაკლებისათვის ავანსად მარაგში სათადარიგო ვარიანტიც გვაქვს – „კვარადონა“.

ჩამოსვლამდე მის შესახებ იმდენი იწერებოდა, რომ აქ დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა. ახალწვეული ძალიან თბილად მიიღეს და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ „ნაპოლიმ“ წამყვანი ვარსკვლავები დაკარგა (ინსინიე, კულიბალი, მერტენსი). ყველა მოუთმენლად ელოდა ხვიჩას გამოჩენას ვარჯიშებსა და საკონტროლო მატჩებში, მან კი თავიდანვე დაიწყო ლამაზი გოლების გატანა – ორკარა იქნება ეს თუ სპარინგები, ხოლო ეს ყველაფერი ოპერატიულად ხვდებოდა ინტერნეტში. ასე რომ, ტიფოზები მალევე დარწმუნდნენ, რომ დიდი ტალანტი დაიმატეს.

ის, რომ „ნაპოლიში“ ნამდვილი ოსტატი მოდიოდა, ადრევე ვიცოდი. სასიამოვნოდ სხვა რამემ გამაოცა: ეს ახალგაზრდა კაცი ძალზე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. ჩანს, რომ ხვიჩა მაქსიმალურად კონცენტრირებული და დამუხტულია საწვრთნელ პროცესზე, აგრეთვე ის, რომ უკიდურესად მოტივირებულია და სურს დაამტკიცოს, რომ ნიჭთან ერთად შრომისუნარიანობასა და დისციპლინასაც ფლობს.

იგრძნობა, რომ ქართველს სწრაფად სურს ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდომა. იგი ითვისებს ახალ ვარჯიშებს და ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად მიაგნოს საერთო ენას სამწვრთნელო შტაბთან და პარტნიორებთან, რაშიც იტალიურის შესწავლაც დაეხმარება.

გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ ლუჩანო სპალეტის უმუშავია რუსულ პრემიერლიგაში, სადაც „კვარა“ თამაშობდა. და ბოლოს: იშვიათად მინახავს მისი მსგავსი ფეხბურთელები, რომლებიც მეტოქის კარში ასე ხშირად და ზუსტად ურტყამდნენ.

* * *

ასეთი საამაყო შეფასებების წაკითხვის შემდეგ საჩოთირიოდ გვესახება ხვიჩას ბოლო ტრამპლინის – „ბათუმის“ კრახის შესახებ ვაუწყოთ ქომაგს, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ – 0:5 კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონეთში პოზნანის „ლეხთან“.

ნამუსი ნაწილობრივ მოგვწმინდა „საბურთალომ“, რომელმაც თბილისში ჩემპიონთა თასის ყოფილი ტრიუმფატორი „სტიაუა“ დასცა – 1:0 და მომავალ კვირაში რუმინეთში მძიმე საპასუხო რაუნდი ელის.

◎ ოვალური გურთი

უკვე – ორნი!

„პორვოლალოსანთა“ მიერ ძლევამოსილად დასრულებულმა ივლისის ტესტებმა დაუმსახურებლად მიგვაფუჩეჩებინა ქართული რაგბის აღიარების დამადასტურებელი კიდევ ერთი ფაქტი – ევროპის სუპერთასის მეორე სეზონში ამ ტურნირის პირველ გამარჯვებულს „შავ ლომს“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მხარს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი „ბათუმი“ დაუმშვენებს, რომლებსაც კამპანიას კიდევ ერთი დებიუტანტი – რუმინული ფრენჩაიზი „ვულკეზი“ და ისრაელის „თელ ავივ ჰითი“ გაუწევენ.

აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელებსა და კარპატისპირელებს თავის გამოჩენის შანსი რაგბი ევროპიდან და მსოფლიო რაგბიდან რუსული გუნდების მოკვეთის შემდეგ მიეცათ.

რაც შეეხება დასავლეთ კონფერენციის კვარტეტს, მისი შემადგენლობა უცვლელი დარჩა: პირველი გათამაშების პორტუგალიური ფინალისტი „ლუზიტანუში“, ესპანური „იბერიანსი“, ნიდერლანდური „დელტა“ და ბელგიური „დევილსი“.

დავძენთ, რომ მეორე სეზონი სექტემბერში დაიწყება. ახლა კი რაგბი ევროპის პრეზიდენტს ოქტავიან მორარიუს (რუმინეთი) მოვუსმინოთ: **„მოხარულნი ვართ და მივესალმებით „ბათუმს“, რომელიც სუპერთასის მეორე გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს ჩემპიონი ძლიერი გუნდია, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ტურნირის განვითარებას და გაზრდის რაგბის მიმართ ინტერესს. წარმატებებს ვუსურვებ „ბათუმს“.**

◎ სეზონის შემდეგ

როცა ვნებები ჩაცხრა

მართალია, ნბა-ში გახურებული სამზადისია ახალი სეზონისთვის და გუნდები საზაფხულო ლიგის მატჩებში ცდიან ძალებს, მაგრამ ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალურობა „გოლდენ სტეიტისა“ და „ბოსტონის“ განვლილ ფინალურ სერიაზე მსჯელობას, რომელიც „მეიმრებმა“ 4:2 მოიგეს და ისტორიაში მეშვიდედ დაეუფლნენ ოქროს ბეჭდებს.

ტრიუმფატორთა ლიდერმა **სტეფ კარიმ** გადამწყვეტ შეხვედრაში პარტნიორებს 34 ქულასთან ერთად 7-7 მოხსნა და პასი შეაწია, რამაც გამოკითხვის მონაწილე თერთმეტივე ჟურნალისტს გადააწყვეტინა, იგი კარიერაში პირველად დასკვნითი აკორდის უძვირფასეს მოთამაშედ (MVP) დაესახელებინათ.

ზედმეტი თავმდაბლობა არც თვითონ ჩემპიონთა გამთამაშებელს გამოუჩენია – **„წლეულს ტიტული ჩემი პროგრესის წყალობით მოვიპოვეთო“,** – განაცხადა მან და დააკონკრეტა.: **„უბრალოდ, შესაძლებლობათა ზღვარზე თამაშს ვცდილობ, რათა გუნდში სუსტ რგოლად არ ჩამთვალონ.**

ბევრი შრომაა საჭირო, თანაც კალათბურთი რაც შეიძლება კარგად უნდა გესმოდეს და კითხულობდე მას პარკეტზე. ნბა იმიტომ მოვიგეთ, რომ ვვითარდები, განსაკუთრებით – მოედნის საკუთარ ნახევარზე. ვფიქრობ, უნდა შეეშვათ ყოველი მატჩის შემდეგ ჩემი ხარვეზების განხილვას“.

ალბათ, გულშემატკივართათვის არანაკლებ საინტერესოა „მეფე“ ლებრონ ჯეიმსის მიერ „სელტიქსის“ სუპერვარსკვლავ ჯეისონ ტეიტუმის მიმართ გამოცხადებული მხარდაჭერა: **„ჯეისონ ტეიტუმი მხეცია. მართალია, ფინალში მან ჩვეულ დონეზე ვერ ითამაშა, მაგრამ მთლიანობაში ცეცხლოვანი სეზონი ჩაატარა. არადა, ეს ბიჭი ჯერ მხოლოდ 25 წლისაა. ეს მისი პირველი ფინალი იყო და ის აუცილებლად დაბრუნდება.**

მეც ასეთი მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ ვითამაშე ჩემს პირველ ფინალში. დიახ, „სან ანტონიოსთან“ ზუსტად მსგავსად ვითარდებოდა მოვლენები. მათ იმით ისარგებლეს, რომ მაშინ საკმაოდ გამოუცდელი ვიყავი და თითქმის არაფერი ვიცოდი“.

შეგახსენებთ, რომ ტეიტუმი გადამწყვეტ სერიაში საშუალოდ 21,5 ქულას, 7 პასსა და 6,8 მოხსნას აგროვებდა.

„ლეიკერსის“ იმედგაცრუებამ კომენტარი ვაჟის – ბრონი ჯეიმსის შთამბეჭდავ სტატისტიკაზეც გააკეთა, რომელმაც ახალგაზრდულ ლიგაში 28 ქულას, 6 პასსა და 3 მოხსნას მოუყარა თავი: **„ჩვენ უბრალოდ ვმუშაობთ. დარჩით ქვემოთ და კარი ჩაკეტეთ“** – ეს ლებრონის სიტყვებია, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, რომ ოდესმე თავის ვაჟთან ერთად თამაშზე ოცნებობს: ის ასევე ამბობდა, რომ სიამოვნებით გაატარებს კარიერაში თავის ბოლო სეზონს ბრონისთან ერთად, რომელ გუნდშიც არ უნდა ითამაშოს მისმა შვილმა.

როგორ ჰპარავენ დამსაქმებლები თანამშრომლებს ხელფასს?!

„ღირსეული შრომის პლატფორმა“ აქვეყნებს კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვით, დასაქმებულთა 88 პროცენტს დამსაქმებელი გაწეული შრომის ანაზღაურებას სრულად არ უხდის. კვლევამ აჩვენა, რომ „მოპარული ხელფასი“ თითოეულ დასაქმებულზე წელიწადში საშუალოდ 8 ათასი ლარია.

ორგანიზაციის ცნობით, ანგარიში მომზადდა სპეციალური გამომთვლელი კითხვარის დახმარებით, რომელიც ყოველთვიური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ მონაცემების მითითებით „მოპარულ ხელფასს“ ითვლიდა. კითხვარი 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით 3167-მა დასაქმებულმა შეავსო. გამომთვლელის მონაცემების თანახმად, 2789 დასაქმებული (მომხმარებელთა 88) სამუშაო ადგილზე მინიმუმ ერთი ფორმის ხელფასის მოპარვის მსხვერპლი მაინც გამხდარა.

„მოპარული ხელფასი წარმოადგენს შრომითი კანონმდებლობის დარღვევას, რა დროსაც დამსაქმებელი დასაქმებულს არ უხდის (ჰპარავს) მის კუთვნილ შრომის ანაზღაურებას, რაც შრომის კანონმდებლობის სხვადასხვა სახის დარღვევაში გამოიხატება, მაგალითად აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომა, ხელფასის უკანონო დაქვითვა, ანაზღაურებადი შვებულების არანაზღაურება და ა.შ.“ — აცხადებენ კვლევის ავტორები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საქართველოში მოპარული ხელფასის ყველაზე გავრცელებული ფორმა არასამუშაო დროს მუშაობაა, რომელიც სამუშაო მოვალეობების ისეთ დროს შესრულებას მოიცავს, რომელსაც დასაქმებულებს ანაზღაურებად სამუშაო დროში არ უთვლიან“. კვლევაში ნათქვამია, რომ იმ დასაქმებულთა 85,6%, რომელიც ზეგანაკვეთურ სამუშაოს ასრულებდა, არ იღებდა დამატებით ანაზღაურებას.

საქართველოში შრომის კოდექსის ამ ნაწილის დაცვაზე ზედამხედველობა ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციას ევალება. კვლევაში მოყვანილია ამ უწყების მუშაობის სტატისტიკაც:

„2021 წლის განმავლობაში შრომის ინსპექციის მიერ შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიზნით შემოწმებული 249 ობიექტზე გამოვლენილი 1766 დარღვევიდან, 357 დარღვევა (20%) სავარაუდოდ ხელფასის მოპარვის პრაქტიკას უკავშირდება“.

ქართველები წმინდა მიწაზე

ღირსი იოანე – ექვთიმეს მამა და გაბრიელ ათონელები

25 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ერთად იხსენიებს წმიდა ათონის მთაზე ქართველ სასულიერო მოღვაწეთა სავანის დამაარსებელ მამებს — ღირს იოანეს და გაბრიელს.

მეათე საუკუნეში იმდენმა ქართველმა მიაშურა ათანასეს ლავრას, რომ იოანე ათონელი იძულებული გახდა ლავრისგან მოშორებით საკუთრად აეღო და აეშენებინა ქართველთათვის ეკლესია და იქვე სენაკებიც.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, როცა საბერძნეთის მეფეებს, ბასილის და კონსტანტინეს ბარდა სკლიაროსი განუდგა და ძლიერ შეავიწროვა...

ღვთის შეწევნით აჯანყებული ბარდა სკლიაროსი გამარცხდა. გამარჯვებაში ლომის წილი ქართველთა ლაშქარმა შეიტანა. დავით კურაპალატის სურვილით, იოანე-თორნიკემ ბრძოლის ველიდან წამოღებული ნადავლი ათონის წმიდა მთაზე წაიღო. ექვთიმემ ჯეროვანი პატივი მიაგო ნეტარ იოანეს (მამას) და ათონზე მის წმინდა საფლავზე წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაც აღაშენა.

ერთხელ, საღამოს, ათონელმა ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს, ეს ხილვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წმიდა მთაზე მამები შეიკრიბნენ, ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ზეციური ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა. მამები ნავებით შევიდნენ ზღვაში, მაგრამ როცა მიუახლოვდნენ, „შორს ივლტოდის ბრწყინვალება იგი მათგან და იყვნენ მჭმუნვარე ამისთვის“. ბერები ლოცვად დადგნენ და უფალს შეჰღაღადეს, გამოეცხადებინა თავისი წმიდა ნება. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მამებს და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ქართველი იყო ღირსი მისი წმიდა ხატის გამოყვანებისა.

მამები ივერთა მონასტერში მივიდნენ, ის ზღვაში შეუშვეს, ცეცხლმნთებარე ხატიც მიუახლოვდა წმიდა გაბრიელს. მან წმიდა ხატი გულზე მიირქვა, ფეხით გაიარა ტალღებზე და ნაპირზე გამოაბრძანა ეს ხატი...

დღეს და ყოველთვის მთელი ათონის მთა იხსენიებს საოცარი ქართველი ბერის — გაბრიელის ხსენებას!

გიული ლიპარტია

ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“-ს (ს/კ 406350112) წევრთა განმეორებითი საერთო კრება ჩატარდება **2022 წლის 9 აგვისტოს 10:30 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №118, პავილიონი №3 (გამოფენა ექსპო ჯორჯია)** შემდეგი დღის წესრიგით:

1. ასოციაციის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ავტორიზაციის შედეგად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიურ სქემაში ჩართვის გათვალისწინებით, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული შემდეგი ნარჩენის/ნარჩენების მიმართულებაზე: 1. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები; 2. ზეთები; 3. საბურავები და 4. ბატარეები და აკუმულატორების რეციკლირების გადასახადის განხილვა-დამტკიცება.
2. ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება;

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ კრებაზე დასასწრებად, გთხოვთ, მოავლინოთ ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

სანთელი

გურამ ჩიგოგიძე



საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება და შპს „საქგზამეცნიერებას“ მთელი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2022 წლის 22 ივლისს გარდაიცვალა ვეტერანი მეგზევე, მაღალი რანგის სპეციალისტი და ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ გენერალური დირექტორის მოადგილე გურამ ჩიგოგიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გურამ ჩიგოგიძემ 1966 წელს მუშაობა დაიწყო საგზაო-სამეცნიერო კვლევით და საწარმოო-ტექნოლოგიურ კომპლექსურ ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებაში“ უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე, მან დამსახურებული კარიერული გზა განვლო ლაბორანტის თანამდებობიდან ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის და გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე, იგი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, იყო პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი, მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი აღიზარდა ინსტიტუტში და შემდგომში ისინი მთელი საქართველოს მასშტაბით ემსახურებოდნენ საგზაო დარგს შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის კუთხით. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ დაქვემდებარებულ ტერიტორიულ „საგზაო საკონტროლო ლაბორატორიებს“ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა დარგში შესრულებული სამუშაოების ხარისხის ამაღლების საქმეში.

იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ინსტიტუტში ისე საქართველოს საგზაო-საექსპლუატაციო-სარემონტო და სამშენებლო ორგანიზაციებში.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივი სინანულს გამოხატავს იმ ფაქტის გამო, რომ 2022 წლის 25 ივლისს მისთვის უნდა მიგველოცა დაბადებიდან 85 წლის იუბილე, მაგრამ... არ დაგვცალდა!

ეს ძალიან დასანანია...

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ამ დიდებულ ადამიანს!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე,
შპს „საქგზამეცნიერებას“ გენერალური დირექტორი
თამაზ შილაკაძე

კვალი ნათელი

გია გვაზავა



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან შსს პენსიონერი, პოლიციის პოლკოვნიკი გია ოთარის ძე გვაზავა.

გია გვაზავამ 22 წლის ასაკში დაამთავრა რა უმაღლესი სასწავლებელი, იურიდიული განათლების მქონემ გადაწყვიტა, ემუშავა შს სამინისტროს სისტემაში ლეიტენანტის წოდებით. მან იღვაწა ჯერ თბილისის და ქუთაისის შს სამმართველოებში სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით, შემდეგ სამტრედიის შს განყოფილებაში, საიდანაც დააწინაურეს აბაშის შს რაიგანყოფილების უფროსად. გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი გადაჰყავთ სამტრედიაში ახლად შექმნილი სარაიონთაშორისო არასაუწყებო დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსად.

გ. ო. გვაზავამ, სადაც კი იმუშავა, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც ხელქვეითებში, ისე საზოგადოებაში. იგი იყო ძალიან სამართლიანი, პრინციპული, საქმის ერთგული და ძალზე პატიოსანი თანამშრომელი. ებრძოდა რა დამნაშავეობას, იგი უსამართლოდ არავის არ ეპყრობოდა, იყო უშიშარი და ყველაზე რთულ ოპერაციებშიც კი მის გვერდით ყოფნა თანამშრომლებს უადვილებდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. შს სამინისტროს მიერ ბევრჯერ იყო წახალისებული მადლობებით თუ ფულადი ჯილდოებით.

იგი ჩვენ ყველას გვიყვარდა და გვეამაყებოდა, რომ ამ მთასავით ვაჟკაცის გვერდით ვიდექით.

წავიდა რა ჩვენგან, დაგვიტოვა მოუშუშებელი ტკივილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული — ამინ!

ზ. თელია

შსს პენსიონერი, ვიცე-პოლკოვნიკი,
აბაშის „საპატიო მოქალაქე“, ღირსების ორდენოსანი.

ლიზა ჩიჩუასა და ირაკლი მაქაცარიას ზღაპრული ქორწილი



თვალწარმტაცი ქართველ, ცნობილ წყვილს, ულამაზეს ლიზა ჩიჩუას და ირაკლი მაქაცარიას შაბათს საოცნებო ქორწილი ჰქონდათ. ახალგაზრდებმა ჯვარი სამების საკათედრო ტაძარში დაიწერეს და შემდგომ სტუმრებს ულამაზესად გაფორმებულ საქორწინო დარბაზში უმასპინძლეს. სოციალური მედია აჭრელებულია მათი დღესასწაულის ამსახველი ფოტოებით და ვიდეოებით.

გულისამაჩუყებელი სანახავი იყო სიძის ცრემლი, როდესაც თეთრ კაბაში გამოწყობილი, მისი ოცნების ქალბატონი, ლიზას მამამ, ცნობილმა ექიმმა გიორგი ჩიჩუამ ოთახში შემოიყვანა. საღამოს უამრავი ცნობილი სახე ესწრებოდა. ეს არ გახლდათ უბრალო ქორწილი, ეს იყო ნამდვილი შოუ კონცერტი. სიძე-პატარძალს დადგმული ჰქონდათ არაერთი საცეკვაო თუ სასიმღერო ნომერი. შოუ-ბიზნესის წარმომდგენლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სცენაზე.

ულამაზესი სანახავი იყო ცეკვა ლაზური, რომელიც ლიზას,დედამ, ასევე ცნობილმა ექიმ-ენდოკრინოლოგმა ქეთი ასათიანმა და გიორგი გილიგაშვილმა, სიძე-პატარძალთან და სტუმრებთან ერთად შეასრულეს. ცერემონიალი ტრადიციულად გრანდიოზული ტორტის გაჭრითა და ფოიერვერკით დასრულდა.

პარლამენტიდან კვლავ თეატრში

რეჟისორი ნუკრი ქანთარია ბათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა, — იტყობინება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.



ბათუმის დრამატული თეატრის დასს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა წარუდგინა. ქანთარია თეატრს 1 აგვისტოდან უხელმძღვანელებს. ნუკრი ქანთარია „ქართული ოცნების“ დეპუტატი იყო საქართველოს მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტში, 2012-2016 და 2016-2020 წლებში. წარსულში მუშაობდა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად და თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

ჰემინგუეის ორეულების კონკურსი დაიწყო

აშშ-ში, ფლორიდაში ცნობილი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის ორეულების კონკურსი მიმდინარეობს. ყოველწლიური ღონისძიება მწერლის დაბადების დღისადმი არის მიძღვნილი. ის კეი უესტში ტარდება, სადაც ჰემინგუეი 1930-იან წლებში ცხოვრობდა და თავისი ცნობილი ნაწარმოები „ვისთვის რეკავს ზარი“ და „ქონა თუ არქონა“ შექმნა.

სამდღიანი კონკურსი 21 ივლისს დაიწყო, ის სხვადასხვა ღონისძიებისგან შედგება. გამარჯვებულს კი დღეს ღამე გამოავლენენ. წელს მასში 135 ადამიანი მონაწილეობს. ორეულების კონკურსი „ჰემინგუეის დღეების“ ნაწილია.

გაუტამ ადანმა ქონებით ბილ გეითსს გაუსწრო

ყველაზე მდიდარმა და გავლენიანმა ინდოელმა ბიზნესმენმა, გაუტამ ადანმა, მსოფლიო მილიარდერთა სიაში მე-4 საპატიო ადგილი დაიკავა. მისმა ქონებამ Microsoft-დამფუძნებელ ბილ გეითსის შემოსავლებს გადაუსწრო.

ადანის ქონება 115.8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, რაც 10-მილიარდით აღემატება გეითსის ავლადიდებას. 59-წლის ბიზნესმენის სიმდიდრის წყარო მრავალპროფილური კონგლომერატი Adani Group-ია, რომელსაც ასამდე შვილობილი კომპანია ჰყავს. ეს კომპანიები ოპერირებენ ინფრასტრუქტურულ, სატრანსპორტო, ენერგეტიკული საწარმოების, სამთო მოპოვების, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების სფეროებში. ადანმა, $115-მილიარდიანი ქონების ძირითადი ნაწილი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოიხვეჭა. მიმდინარე წელს კი მისი ქონება, თითქმის $30 მილიარდით გაიზარდა, რაც მსოფლიოს მასშტაბით იმ პროდუქციის გაძვირებითაა გამოწვეული, რომელსაც Adani Group-ის შვილობილი კომპანიები აწარმოებენ.

რუსუდან ქოგულია

„სტრესის ჰორმონი და ძილი“

მძინარე ადამიანის ტვინი ღამის განმავლობაში 100-ზე მეტჯერ იღვიძებს, რისი მიზეზიც „სტრესის ჰორმონის“ — ნორადრენალინის ნეირომედიატორის დონის ცვალებადობაა. ასეთ დასკვნამდე კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ.

Daily Science-ის ცნობით, „სტრესის ჰორმონი“ დაძაბულობის დროს გამოიყოფა და ადამიანს კონცენტრირებაში ეხმარება. **„ტექნიკური კუთხით, ადამიანი იღვიძებს იმიტომ, რომ ამ ძალიან მოკლე პერიოდში ტვინის აქტივობა ისეთივეა, როგორც ფხიზლად ყოფნისას, თუმცა მძინარე ადამიანი ამას ვერ ამჩნევს“,** — ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი მი ანდერსონი. ძილის დროს ტვინის ხშირი გამოღვიძება აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია მეხსიერებისთვის — მოკლე გამოღვიძებები ტვინის გადატვირთვას ახდენენ. კვლევის ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ მათი მუშაობის შედეგები ახალი ანტიდეპრესანტების შექმნისას იქნება გამოსადეგი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7986; ევრო - 2.8456
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3429;
100 რუბლი - 4.7550; თურქული ლირა - 0.1576;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6524;
1000 სომხური დრამი - 6.7878.

ამინდი 25 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge